ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 29 ნოემბერი 2003 №228 (1999) ფასი 50 თეთრი


# რევანში ბურთით და უბურთოდ სხვაგან სხვა ბოლომაა







იტალიაში რევანშისტები მოდიან! ტურინის „იუვენტუსს“ რა ხანია, დაბრიყვებული ჰყავს მილანის „ინტერი“. აგერ, შარშანდელი სეზონი გავიხსენოთ, როცა ბოლო ტურამდე ცხრილში თუ რეიტინგებში „ინტერი“ ლიდერობდა, ბოლო ტურში კი „იუვენტუსმა“ პირველობა ხელში ჩაიგდო, ინტერნაციონალისტები კი, ჩვენი ნაციონალებისა არ იყოს, მესამე ადგილზე გადაავდო.

სერია A-ს ამ ტურში „ინტერი“ ტურინში თამაშობს.

ინგლისში კი რევოლუცია მზადდება! ამ ქვეყანაში ჩემპიონობა კარგა ხანია, „მანჩესტერ იუნაიტედს“ აქვს უზურპირებული და ახლოს არავის იკარებს. ვინ არ სცადა, მაგრამ ერთი „არსენალმა“ და „ბლებერნმა“ შეძლეს პრემიერლიგის მარადი ჩემპიონისთვის პირველობის ძალიან მცირე ხნით ჩამორთმევა.

ახლა კი ინგლისში ახალი ძალა გამოჩნდა რუსული ფულით. ხვალ „ჩელსი“ „მანჩესტერს“ დაუხვდება.

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

# პირველი დღე: თი-ხა-ხა


REUTERS მელბურნიდან

კარლოს მოია

საჩოგბურთო სეზონის დახურვამდე ჩოგნის ერთიორი გაქნევალა დარჩა. ესპანელი და ავსტრალიელი დარჩეული ჯეელები დევისის თასის ფინალს ჩაითამაშებენ და ჩოგნები იანვრამდე დაშალითდება. ფინალი კი ისე გემრიელად დაიწყო, კორტისგან სულ განზეც რომ იდგე, მაინც დაგწყდება გული, ეს ბარაქიანი ბურთაობა ორ დღეში დასრულდებაო. დევისფინალის მასპინძელმა ოზებმა კასტილიელებს საჯილდაო ალაგად ბალახიანი კორტები დაუთქვეს, ჯიშით მეთიხნარეები არიან და ჩოგანი მოეცარებათო. მაგრამ სტუმრებმა ბალახზეც მოიკიდეს ფეხი. კარლოს მოიას ბალახსაფარზე ჩოგნის ქნევას აქამდე ჩალის ფასი ჰქონდა და დროის ქნევა უფრო ეთქმოდა. მაგრამ ახლა მოიას უკან არ დაეხევინებოდა. ესპანელი უდრეკად დაუხვდა სკად ფილიპუსისის ჭურვებს და, ჰოი, საოცრებავ, აოტა კიდეც.

მეორე შეხვედრაშიც კაი ნერვების თამაში გაჩაღდა — სტუმარმა ხუან კარლოს ფერერომა და დამხვდურმა


REUTERS მელბურნიდან

მარკ ფილიპუსისი

ლეიტონ ჰიუიტმა მთელი ხუთი სეტი არ ამოასუნთქეს ერთმანეთი და მელბურნული პუბლიკა. საბოლოო გამარჯვება ოზისა იყო, ლეიტონმა ავსტრალიელი ქომაგის წინაშე მაინც გამოისყიდა უხეიროდ მოლეული სეზონი. ანგარიში კი გათანაბრდა 1:1 და დღეს და ხვალ სწორედ ფინალის ღირსი ჩოგნაობის სურნელიც დატრიალდება.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# თავმჯდომარე, პრეზიდენტი, გამგე

## ჩხაიძე მიდის, ოღონდ ლოკომოტივიდან არ ჩამოდის



*საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის მიუხედავად თბილისის „ლოკომოტივის" პრეზიდენტად დარჩება და კლუბს უპატრონებს.*

*ჩხაიძეს ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე განცხადება ორი დღეა, დაწერილი აქვს, თუმცა პასუხი არ მიუღია*

— გადადგომაზე განცხადება დავწერე და საბოლოო სიტყვას ველი. ჯერჯერობით კი მუშაობას ძველებურად ვაგრძელებ.

**— თუ თქვენი თხოვნა დაკმაყოფილდა, ჩავთვალოთ, რომ „ლოკომოტივის" პრეზიდენტის პოსტიც განთავისუფლდება?**

— არა, ვიქნები თუ არა რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე, „ლოკომოტივს" არ დავტოვებ. აკაკი ჩხაიძე რკინიგზელია და რკინიგზაში დარჩება.

**— დარჩება რიგით მუშაკად?**

— ტექნიკურ უნივერსიტეტში რკინიგზის კათედრის გამგე ვარ. ასე რომ, შესაძლოა, დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტის დატოვება მომიხდეს, მაგრამ „ლოკომოტივს" ნამდვილად არ დავშორდები. ამ კლუბის პრეზიდენტი ვარ და პრეზიდენტადვე დავრჩები.

**კობა ინასარიძე**

# ნემსაძემ მუშაობა დაიწყო

*შოტლანდიური „დანდიდან" ფინანსური პრობლემების გამო გათავისუფლებული გიორგი ნემსაძე ახალი კლუბის ძიებაშია და სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად ჯერჯერობით ძველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს*



**შეგახსენებთ,** საგადასახადო სამსახურმა „დანდის" ამ რამდენიმე დღის წინ 10 მილიონ გირვანქაზე მეტი ვალი აღმოუჩინა და კლუბს მაღალხელფასიანი ფეხბურთელების გათავისუფლება მოსთხოვა, რომელთა შორის ჩვენიანი ნახევარმცველიც მოხვდა. ნემსაძემ „დანდიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსი დაუყოვნებლივ მიიღო და თავის აგენტთა დახმარებით ახალ კლუბზე მუშაობა დაიწყო. გიორგიმ რამდენიმე წინადადება შოტლანდიური და სხვა ქვეყნების გუნდებიდან უკვე მიიღო, თუმც არ ჩქარობს და უკეთეს ვარიანტს ელის. ნემსაძის ახალი გუნდის ვინაობა, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გაირკვევა ყოველ შემთხვევაში, აგენტები მისთვის სასურველი კლუბის მალე გამოძებნას ჰპირდებიან.

თავად ფეხბურთელის თქმით, ზამთრის შესვენებამდე ცოტა დრო დარჩა და, თუ იქამდე რეალური წინადადება არ მიიღო, ვარჯიშს „დანდიში" განაგრძობს და საბოლოო გადაწყვეტილებას დამშვიდებით მიიღებს.

**კობა ინასარიძე**

# იანინას იმედი აქვს

## დღეს ყიფიანისთვის არჩევნებია



**დღეს** საბოლოოდ უნდა გადაწყდეს გიორგი ყიფიანის ბერძნულ „იანინაში" გადასვლა-არგადასვლის საქმე. როგორც იცით, „იანინას" ახალმა ქართველმა პატრონმა ჯონი გიგანმა ქუთაისის „ტორპედოს" ნახევარმცველის გადაბირების სურვილი თავიდანვე გამოთქვა და საამისოდ მხარეებს შორის მოლაპარაკებაც დაიწყო. გიგანს „იანინას" საბერძნეთის პირველ ლიგაში აღზევება დაუსახავს მიზნად და ქართველი ფეხბურთელის სამსახურიც ამად დასჭირვებია. წინააღმდეგი არც თავად გიორგი ყიფიანია, მით უმეტეს, დეკემბერში „ტორპედოსთან" კონტრაქტი უმთავრდება.

— ყველაფერი კარგად მიდის. გიორგისთან მოლაპარაკებაში სირთულეებს ჯერჯერობით არ შევხვედრივართ და იმედი მაქვს, შევთანხმდებით. ხვალ, ალბათ, საბოლოო პასუხი მეცოდინება. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე გიორგისთან ერთად კლუბის თავკაცობას უნდა შევხვდე — გვითხრა გუშინ „იანინას" მენეჯერმა დავით ქარაულმა.

**კახა შალამბერიძე**

# უკრაინელები ჩუმად იყვნენ!

*მოსკოვის „ლოკომოტივი" ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ თამაშს აგრძელებს. რკინიგზელებმა ბოლო ტურში კიევის „დინამო" წააქციეს და ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ. მიხეილ აშვეთიას და მალხაზ ასათიანის გუნდს ახლა ლონდონის „არსენალთან" დარჩენილი მატჩში ქულაც ხელს აძლევს.*

*გუშინ მიხეილ აშვეთიას მოსკოვში შევეხმიანეთ...*



— „დინამოს" დამარცხებით მაგრად გავიხარეთ. ჯერჯერობით პირველ ადგილზე ვართ და ახლა ყველანი „არსენალთან" თამაშზე ვფიქრობთ. ძალიან მინდა, მერვედფინალში გავიდეთ და იმედი მაქვს, ასეც მოხდება.

**— უკრაინელები „დინამოს" მარცხს ესპანელ მსაჯს აბრალებენ. ის თურმე რუსების „დიდი მეგობარი" ყოფილა...**

— რაც უნდათ, ის თქვან. სისულელეა ასეთი ჭორები. ფრე რომ ეთამაშათ ან მოეგოთ, იგივეს იტყოდნენ? მაშინ სხვანაირად დაიწყებდნენ ჟღურტულს. ჩვენ დამსახურებულად მოვიგეთ.

**— ისე, გაგიჭირდათ...**

— ჰო, რთული თამაში იყო. კიეველებს რომ კარგი გუნდი ჰყავთ, ყველამ იცის, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები. არა მგონია, ვინმემ თქვას, „ლოკომოტივმა" შემთხვევით მოიგოო.

**— გოლის გატანა რატომ ვერ შეძელი?**

— მთლად კარგად არც ვიყავი მზად. ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ პრაქტიკის ნაკლებობამ მაინც თავისი გააკეთა. თუმც ვფიქრობ, ცუდად მაინც არ მითამაშია.

**— ახლა „არსენალთან" თამაში გელით...**

— ეს უმთავრესი მატჩია ჩვენთვის. ამიტომაც მივდივართ ესპანეთში მოსამზადებლად. იური სიომინი განსაკუთრებული გულმოდგინებით გვამზადებს ლონდონელებთან სათამაშოდ.

**— როდის მიდიხართ ესპანეთში?**

— 1 დეკემბერს გავფრინდებით. ქალაქ მარბელაში დავბანაკდებით და ლონდონში წასვლამდე იქ ვივარჯიშებთ.

**— ამხანაგურ მატჩს ითამაშებთ?**

— კი, დაგეგმილია, ესპანური მესამე დივიზიონის რომელიღაც კლუბს ვეთამაშებით.

**— მალხაზ ასათიანიც მოდის?**

— რა თქმა უნდა. სიომინმა ასათიანიც დაასახელა შემადგენლობაში.

**კახა შალამბერიძე**



არგენტინელებმა ესპანელებს სიმწრის ბალახი აჭამეს

### მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური

პანამა 0:1 ბურკინა ფასო

B ჯგუფი. I ტური

არგენტინა 2:1 ესპანეთი

უზბეკეთი 2:3 მალი

C ჯგუფი. I ტური

ბრაზილია 2:0 კანადა

ჩეხეთი 1:1 ავსტრალია

### იტალია

სერია B. XVII ტური

ჯენოა 1:1 პალერმო

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XVI ტური

ლავალი 2:2 ლორიანი

ტრუა 0:0 სედანი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური

ამადორა 1:1 ბოავიშტა

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XIII ტური

გრონინგენი 2:0 როზენდალი

II დივიზიონი. XVII ტური

ჰერაკლესი 3:1 სიტარდი

ვენლო 2:4 ემენი

ტელსტარი 2:1 ეგლსი

ოსი 1:4 ჰელმონდი

ეინდჰოვენი 2:3 ჰაარლემი

ეძელსიორი 1:0 სპარტა

კამბური 1:0 გრააფსხაპი

აპელდორნი 0:0 დორდრეხტი

### სლოვენია

CB მობილ ლიგა. XV ტური

ოლიმპია 2:1 კოპერი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIV ტური

პალადაში 1:0 ვიდეოტონი

### თურქეთი

სუპერლიგა. XIV ტური

გალათასარაი 2:2 მალათია

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XIV ტური

ოსნაბრიუკი 3:1 ალემანია

კოტბუსი 1:1 დუისბურგი

კარლსრუე 0:3 რეგენსბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVIII ტური

დინამო 1:0 ბრაუნშვაიგი

კილი 1:3 ვერდერი (მ)

ზანკტ პაული 2:2 ვატენშაიდი

სამხრეთ რეგიონალლიგა XVIII ტური

შვაინფურტი 2:2 აალენი

### ავსტრია

I დივიზიონი. XXI ტური

უნტერჰაუზენბრიუნი 2:0 ლინცერი

ლეობენი 2:1 ბლაიბერგი

რიდი 1:3 ტიროლი

### ირლანდია

პრემიერლიგა XXXVII ტური

შემროკი 1:1 შელბურნი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 14 ტური

გადადებული მატჩი

*27 ოქტომბერს ბათუმის სტადიონი წვიმისგან დაიტბორა და მე-14 ტურის „ბათუმი" — „ვიტ ჯორჯია" დღეისთვის გადაიდო. ოქტომბრის აქეთ „ბათუმი" მოღონიერდა, ზეექვსეულში შეღწევის საკმაოდ კარგი შანსიც გაუჩნდა და დღეს გასამართი მატჩიც უფრო მნიშვნელოვანი გახდა*



ბათუმი. 29 ნოემბერი. 14 საათი. დინამო

**ბათუმი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

# თამაში თამაშის ქალაქში

## ბათუმისთვის ვიტ ჯორჯია ფინალია

***ასლან ბალაძე, „ბათუმის" მწვრთნელი.*** თქმა რად უნდა, „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ ისე მოვემზადეთ, როგორც ფინალისთვის. ასეცაა, ამ მატჩს ჩვენთვის ფინალის ფასი აქვს. აჟიოტაჟი დიდია, სტადიონის ტრიბუნას ქომაგი, ალბათ, ბოლომდე შეავსებს. საამმატჩოდ უკვე უძლიერესი შემადგენლობა გვყავს, ერთი ისაა, რომ ცენტრალურ მცველ გალოგრეს ტემპერატურამ აუწია, თუმც მატჩამდე, ალბათ, მომჯობინდება. წინა შეხვედრაში, „დილასთან", იძულებული ვიყავით, ნაცადი შემადგენლობა შეგვეცვალა და ტაქტიკურადაც ახლებურად ვითამაშეთ. „ვიტ ჯორჯიასთან" კი მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება, თუმც ჯერაც არ გადაგვიწყვეტია, მეტოქეს როგორი სქემით დავხვდეთ: სამი მცველით ვითამაშოთ თუ ოთხით, თავდასხმაში ერთი ფორვარდი დავაყენოთ თუ ორი... მოკლედ, საომრად მზად ვართ, თუ მოვიგეთ, ექვსეულისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ. ძალიან ცუდი სტარტის მერე კი ასეთი გუნდით ექვსეულში მოხვედრა ჩვენთვის გმირობის ტოლფასი იქნება.

თბილისელ ფეხბურთელებს კი ბათუმში ჩამოსვლის ნუ შეეშინდებათ. ქალაქში განსაკუთრებული არაფერი ხდება, ეგაა, კონტროლი ჩვეულებრივზე გამკაცრებულია.



# ყურები თავის ადგილზეა



***ზურაბ ბერიძე, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*** ბათუმში მშვიდობაა, არანაირი დაძაბულობა არ იგრძნობა, უბრალოდ, ამბობენ, ღამის ათი საათის შემდეგ გარეთ გამოსვლას მოერიდეთო.

**— თქვენ გუნდში რა ვითარებაა?**

— ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინაა, თენგიზ კობიაშვილი კი უკვე კარგა ხანია, დაშავებულია.

**— მეტოქეზე რას იტყვით?**

— ბოლო მატჩებს „ბათუმი" ალმავლობით თამაშობს. ახლა ბათუმელებს ჩვენთან გადამწყვეტი თამაში აქვთ, თუმც ეს ჩვენთვისაც გადამწყვეტი შეხვედრაა — დიდი მიზნებისთვის საბრძოლველად ყურები ნამდვილად არ ჩამოგვიყრია.

**— გასაგებია, მაგრამ ვინც მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, მათთვის მთავარი პერიპეტიები ჩემპიონატის მეორე ეტაპზე დაიწყება, „ბათუმისთვის" კი ეს მატჩი ექვსეულში შესვლა-არშესვლის საკითხია — სპორტული პრინციპი ამ მატჩში ბოლომდე იქნება დაცული?**

— რა თქმა უნდა, სპორტულ პრინციპს მაქსიმალურად დავიცავთ. თანაც თეორიულად იმის შანსიც არის, რომ ზეექვსეულს მიღმა დავრჩეთ და ნაღდად არ გვსურს, საქმე გავირთულოთ.

**— „ბათუმიდან" ვის გამოარჩევდით?**

— ბოლო მატჩებში ძლიერად თამაშობს მიხეილ კაკალაძე.

**— თქვენი გუნდის თამაშს კონტრშეტევებზე ააგებთ?**

— ამაზე წინასწარ არ მსურს ლაპარაკი.

**— შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— 50/50-ზე.

# ასეთი ვარ და, რა ვქნა?!

## მიკუჩაძემ კილოგრამები ინატრა

*გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი დევდარიანის განწვრთნილი „თბილისი" ჩემპიონატის პირველი წრის გუნდი-აღმოჩენაა. ბოლო მატჩებში თბილისელთაგან კოკა მიკუჩაძე გამოირჩა გოლების გატანით, ვისაც ინტერვიუ ჩამოვართვით*

— როცა „დინამოში" ივო შუშაკი მოვიდა, თითქმის ნახევარი სეზონი დაჰყავი იქ და მერე გუნდიდან გაგიშვეს — მიკუჩაძე უნდა დაკაცდესო — ასეთი იყო შუშაკის განმარტება.

— შუშაკს არ ვჭირდებოდი, ბოლოსკენ სამატჩო განაცხადშიც არ ვხვდებოდი და ჩემს განათხოვრებაზე წავიდა ლაპარაკი, თუმც მე „დინამოდან" წამოსვლა ვარჩიე. გადავედი „ვიტ ჯორჯიაში", მაგრამ ავტოავარიაში მოვყევი და 7-8 თვით ჩამოვშორდი ფეხბურთს — კისრის მალები მქონდა დაზიანებული და ჩემთვის ძუნძულიც კი არ შეიძლებოდა.

**— ახლა რა კონდიციაში ხარ, შუშაკის სიტყვებით რომ ვქთვათ, დაკაცდი?**

— ახლა კარგ ფორმაში ვარ და უფრო მაგრადაც მოვუმატებ.

**— როგორ ფიქრობ, „დინამოში" კონკურენციას ვერ გაუძლებდი, საამისო შანსი არ გქონდა?**

— ვფიქრობ, დავძლევდი დინამოურ კონკურენციას — კარგ ფორმაში ვიყავი, იტალიურ შეკრებაზეც კარგად ვითამაშე, მაგრამ შუშაკი თავდასხმაში მაშინ ლადო ბურდულსა და ვიტალი დარასელიას აყენებდა და ისინი ძალიან მოეწონა.

**— „ვიტ ჯორჯიას" და ავარიის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოში" მიხვედი, თუმც ტრანსფერი არ შედგა...**

— მაშინ „ტორპედო" ანთალიაში იყო შეკრებაზე, მაგრამ ალექსანდრ შტელინს არ მოვეწონე მიუხედავად იმისა, რომ საკონტროლო შეხვედრებში გოლები გავიტანე. თუმც ისიცაა, რომ მაშინ კარგ ფორმაში არ ვიყავი. მერე კი ჩემმა აგენტმა რეზი არველაძემ „ოლიმპში" მიმიყვანა (მაშინ „თბილისს" „ოლიმპი" ერქვა — რედ) და გუნდის იმდროინდელმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა ძალიან შემიწყო ხელი — ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ მაინც მენდობოდა და მათამაშებდა.

**— „თბილისში" ახლა მაგარი კონკურენციაა...**

— კონკურენცია მართლაც ძალიან მაგარია, ხანდახან სულიკო დავითაშვილიც კი ვერ ხვდება ძირითადში.

**— „დინამოში" უმეტესად უკან დახეულ ფორვარდად თამაშობდი და ამ პოზიციაზე უფრო გიადვილდებოდა თამაში, „თბილისში" კი უფრო გამოკვეთილი თავდამსხმელის პოზიციაზე ხარ...**

— მე მაინც ვფიქრობ, რომ უკან დახეული ფორვარდი ჩემთვის საუკეთესო ამპლუაა, თუმცა ახლა ისეთ ფორმაში შევდივარ, სადაც უნდა დამაყენონ, ყველგან კარგად ვითამაშებ.

**— ჯერ კიდევ დინამოელობის დროს შენს მთავარ ნაკლად სუსტი აღნაგობა მიიჩნეოდა — ტრენაჟორებზე არ ვარჯიშობ?**

— როგორც კი დრო გამომიჩნდება, ტრენაჟორებზე სერიოზულად ვვარჯიშობ, მაგრამ ისეთი აღნაგობა მაქვს, რომ მასა არა და არ მემატება — 5-6 კილოს მომატება ჩემთვის მართლაც კარგი იქნებოდა.

**— „თბილისის" ბოლოდროინდელი წარმატებების საიდუმლო რაშია?**

— გუნდში გიორგი დევდარიანის მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა — სხვანაირი ვარჯიშები, სათამაშო სქემა და საქმისადმი დამოკიდებულება. დევდარიანს შეტევითი სტილი უყვარს და „თბილისი" ასეთი გზით კიდევ უფრო მოუმატებს თამაშს.

**დავით თავართქილაძე**



წონანაკლულ კოკა მიკუჩაძეს „თბილისში" თავისი წონა აქვს

# SI?



# NO?

# აბრამიძე სპარტაკში

## სკალას სიტყვას ელის

**ელისტის** „ურალანიდან" წასული ქართველი მცველი ვალერი აბრამიძე მოსკოვის „სპარტაკს" დაუბრუნდა, ოღონდ მისი „სახალხო გუნდში" დარჩენა ჯერ არ გადაწყვეტილა. „სპარტაკის" ხელმძღვანელობა აბრამიძეს ახალი კლუბის მოძებნას დაჰპირდა, თუმც ჯერჯერობით ამ საქმეს თავი ვერ მოება და ჩვენებურიც მანამდე გიორგი ლომაიას მხარდამხარ ივარჯიშებს. მოგეხსენებათ, „სპარტაკს" ახლახან მწვრთნელად იტალიელი ნევიო სკალა დაუნიშნეს და დარჩება თუ არა აბრამიძე გუნდში, მისი გადასაწყვეტია.

შეგახსენებთ, რომ ვალერი აბრამიძე „ურალანში" განათხოვრებით თამაშობდა, ჩემპიონატის დამთავრებისთანავე კი იჯარასაც გაუვიდა ვადა. ქართველი მცველის ახალი კლუბი, სავარაუდოდ, დეკემბერში გაირკვევა.

**ქახა შალამბერიძე**

# მცირე წრე შეიკრა
## დიდი წრის გარღვევას მსურველები არ აკლდება

მცხეთური „ვიტ ჯორჯიას" და სანიხერის „ჩიხურას" გადადებული შეხვედრით გუშინწინ პირველ ლიგაში პირველი წრე დასრულდა და გუნდები სამთვიან არდადეგებზე წავიდნენ. ახლა ძნელი სათქმელია, რა მოხდება ამ სამ თვეში და როგორი შეხვდებიან გუნდები მეორე წრეს. ამაზე ლაპარაკი ნაადრევიცაა. ახლა პირველი წრის შედეგების შეჯამების დროა.

ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს, „ქობულეთი" და წყალტუბოს „სამგურალი", რომლებიც უმაღლეს ლიგაში ალზევების უმთავრეს კანდიდატებადაც ითვლებიან. აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ-მეორე ადგილებზე გასულები პირდაპირ გადადიან უმაღლეს ლიგაში, მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები კი ერთმატჩიან პლეი ოფში უმაღლესი ლიგის მეცხრე-მეათე ადგილებზე გასულებს შეხვდებიან.

„ქობულეთი" და „სამგურალი" უმაღლესში გადასვლის უმთავრესი კანდიდატები ლიდერობის გარდა იმიტომაც არიან, რომ სეზონის ნახევარი ყველაზე სტაბილურად ჩაატარეს, რასაც დანარჩენ გუნდებზე ვერ ვიტყვით. დანარჩენები ალმასვლისა და ჩავარდნის ეტაპებს ერთმანეთს უნაცვლებდნენ. სტაბილურობა კი, მოგეხსენებათ, წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. თუმცა ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ ქობულეთელებს არდადეგებმა სულზე მოუსწრო — ბოლო ორ ტურში ორი მარცხი იწვნიეს.

სტაბილური და კარგი გუნდია „ცხინვალიც", მაგრამ წინა სეზონს თუ გავიხსენებთ, გორში დაბანაკებულმა გუნდმა პირველ წრეში უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე მეორეში და ახლაც იგივე თუ მოხდა, ეგებ პოზიცია დაუსუსტდეს.

„ოლიმპი", როგორც უმაღლესლიგელი „თბილისის" ფარმ-კლუბი, უმაღლესში გადასასვლელად არ იბრძვის, თუმცა ორი რეკორდის მფლობელია — 5-მატჩიანი მოგებათა და 10-მატჩიანი წაუგებელი სერიები. მაგრამ ისიცაა, რომ ბოლო ხუთ ტურში ოლიმპელებმა სამი თამაში წააგეს. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ბოლო ტურებში „თბილისმა" თავის ფარმ-კლუბს საუკეთესო ფეხბურთელები „წაართვა".

ახალშექმნილი „ამერი", რომელიც პირველ სეზონს ატარებს, საფიქრებელია, რომ მეორე წრეში უფრო მეტ ქულას დააგროვებს, ვიდრე ეს პირველ წრეში შეძლო. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად სტატისტიკა მოვიშველიოთ.

ოთხი ტურის მერე „ამერს" წაგებათა გრაფაში 3 ეწერა, მომდევნო 11 ტურში კი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. აქედან გამომდინარე, სასტარტო წარუმატებლობა ალბათ გამოუცდელობისა და შეუთამაშებლობის ბრალი იყო, რასაც გუნდი ნელ-ნელა ასწორებს. ამასთანავე, „ამერის" დამარცხება მის წინ მყოფთაგან სამმა — „სამგურალმა", „ცხინვალმა" და „ოლიმპმა" ვერ შეძლეს. შარშანდელ უმაღლესლიგელებს, „გორდასა" და „მილანს" კი თბილისელებმა პირველ წრეში ოთხი ქულა აართვეს. დავძინოთ, რომ „ამერში" საქართველოს ნაკრების ერთბაშად ხუთი ყოფილი ფეხბურთელიც თამაშობს: გიორგი ჩიხრაძე, გიორგი კილასონია, დავით ასლანაძე, გიორგი დავითნიძე და გიორგი ლუდუშაური.

ცხადია, უმაღლესში გადასვლის კანდიდატობიდან ვერ ჩამოვწერთ ზემოთ ნახსენებ „მილანსა" და „გორდას", თუმცა ეს გუნდები არასტაბილურობით გამოირჩევიან. „გორდა" კი ერთადერთი გუნდია, რომელმაც აუტსაიდერ „მეტალურგთან" ქულები დაკარგა.

ცხრილის ქვედა ნაწილში ისეთი სიმჭიდროვეა, გავარდნის თუ პირველ ლიგაში დარჩენის შანსებზე ლაპარაკი აზრს კარგავს. ერთი კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ: მომავალ სეზონში „მეტალურგი" რეგიონალლიგაში ითამაშებს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ არ დაიშალა. ზესტაფონელები უსახსრობით სულს ლაფავენ, მშველელი კი ამ ინდუსტრიულ ქალაქში ვერ გამოიძებნა.

ბოლოს დავძინოთ, რომ პირველი ლიგის ბომბარდირი უნივერსიტეტელი ზაზა სახოკიაა, რომელსაც 13 გოლი აქვს გატანილი, ანუ თსუ-ს გოლების ნახევარზე მეტი.

ყველაზე კორექტული გუნდი „ამერია", რომლის ფეხბურთელებიც 12-ჯერ გააფრთხილეს, უხეშობით კი ორი გუნდი გამოირჩა: ლანჩხუთის „გურია" — 24 ყვითელი და 2 წითელი ბარათით და ბათუმის „ლუკა" — 25 გაფრთხილებით და ერთი გაძევებით.

**ირაკლი ნინიძე**

**ვიტ ჯორჯია მცხ. 1:0 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 15 | 10 | 1 | 4 | 27:14 | 31 |
| სამგურალი | 15 | 9 | 4 | 2 | 22:7 | 31 |
| ცხინვალი | 15 | 8 | 4 | 3 | 27:11 | 28 |
| ოლიმპი | 15 | 8 | 4 | 3 | 22:14 | 28 |
| ამერი | 15 | 6 | 5 | 4 | 19:13 | 23 |
| მილანი | 15 | 6 | 4 | 5 | 11:9 | 22 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 15 | 5 | 7 | 3 | 12:10 | 22 |
| გორდა | 15 | 6 | 3 | 6 | 14:19 | 21 |
| ჩიხურა | 15 | 6 | 2 | 7 | 18:17 | 20 |
| ივერია | 15 | 5 | 5 | 5 | 12:19 | 20 |
| ლოკომოტივი 2 | 15 | 6 | 1 | 8 | 13:20 | 19 |
| დინამო 2 | 15 | 5 | 4 | 6 | 25:20 | 19 |
| თსუ | 15 | 5 | 3 | 7 | 23:17 | 18 |
| გურია | 15 | 5 | 3 | 7 | 17:20 | 18 |
| ლუკა | 15 | 4 | 1 | 10 | 12:27 | 13 |
| მეტალურგი | 15 | 0 | 1 | 14 | 5:42 | 1 |



პირველ ლიგაში ბრძოლა გახურდა, ნაღდი ბრძოლა კი გაზაფხულზე გაგრძელდება

*თბილისის „ამერს" პირველი ლიგის პირველი წრის ბოლო ტურის მატჩი ბათუმში ჰქონდა. უკანა გზაზე გუნდის ავტობუსი ქუთაისში შეჩერდა. ავტობუსიდან „ამერის" მეკარე დავით ასლანაძე გადმოვიდა, ქუჩაში ბავშვთან ერთად მდგარი ბიჭები გადაკოცნა, ბავშვი ჩაიხუტა და დიდხანს ეფერა. რომც არ გცოდნოდათ, მსგავსებით შეუმცდარად მიხვდებოდით, რომ მისი შვილი იყო. მერე ისევ ავტობუსში ჩაჯდა და თბილისისკენ გზა განაგრძო...*



# აქეთ რა მწარეა, იქით რა ტკბილი
## მეკარე შვილს მეკარეობას არ ურჩევს

— რაც ამერელი გავხდი, თბილისში ვცხოვრობ. ჩემი მეუღლე სწავლობს და ბავშვის მოსავლელად ცოტა დრო რჩება. ამიტომ ირაკლი ძირითადად ქუთაისში, მშობლებთან მყავს. ბათუმიდან რომ მოვდიოდით, დავურეკე, გზაში დამხვდით, ვნახავ-მეთქი. ჩემმა ძმამ და ცოლის ძმამ მოიყვანეს.

**— და შენც, როგორც ყველა ფეხბურთელი, ოცნებობ, რომ შენი შვილი ფეხბურთელი გახდეს...**

— ყველაზე თავს ვერ დავდებ, მე კი ნაღდად ვოცნებობ. ეგ კი არა, უბრალოდ, ვერც წარმომიდგენია, სხვა პროფესია რომ აირჩიოს.

**— რატომ?**

— მე ფეხბურთის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი და ალბათ ამიტომ. ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილი „რეალი" — „ლევერკუზენის" ფინალის დღეს დაიბადა. ისე, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, ბურთის გარდა სხვა სათამაშოები თითქმის არ აინტერესებს. ოღონდ არ მინდა, რომ მეკარე გახდეს, თავდამსხმელობა ჯობია.

**— შენ რომ მეკარე ხარ?**

— სწორედ მაგიტომ. ჩემზე კარგად ვინ იცის, მეკარეობა რასაც ნიშნავს. თავდამსხმელმა უამრავი შეცდომა რომ დაუშვას, ერთ გოლს თუ გაიტანს, პატიობენ, მეკარის შეცდომაზე კი გაუთავებლად ლაპარაკობენ. თანაც გოლს საოცარი გემო აქვს, ორი თვის წინ გამოვცადე.

**— სწორედ მაგაზე მინდოდა მეკითხა. წნორის „მილანთან" რატომ ითავე პენალტის დარტყმა?**

— იმ მატჩში ჩვენი მეპენალტეები გია კილასონია და გიორგი ლუდუშაური არ თამაშობდნენ. ჰოდა, თამაშის დაწყებამდე გაიოზ დარსაძემ გასახდელში იკითხა, პენალტი თუ დაინიშნა, ვინ დაარტყამთო. მაშინვე წამოვხტი. მერე, როცა მსაჯმა პენალტი დანიშნა, მწვრთნელს კიდევ გავხედე და თავი დამიქნია. მეც დასარტყმელად წავედი.

**— გატანა კარგია, მაგრამ ამ სეზონში 15 შეხვედრაში 13 გოლი გაუშვი. შენი ბრალი რამდენი იყო?**

— მოდი, იმას გეტყვი, ყველაზე მეტად რომელმა გოლმა დამწყვიტა გული. „ვიტ ჯორჯიასთან" ჯარიმა დაინიშნა. გადავხტი, ბურთს ხელი ვკარი, ძელს მოხვდა, მერე ზურგში მომხვდა და გავიდა.

**— ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებშიც ბევრი გოლი გაქვს გაშვებული...**

— იტალიაში 6 გოლი კი გავუშვი, მაგრამ იქიდან სამი პენალტით გამიტანეს და დანარჩენი სამიც არ იყო მხოლოდ ჩემი ბრალი. თბილისში ინგლისთან კი ერთი გოლი გავუშვი, ემილ ჰესკიმ გამიტანა. ეროვნულ გუნდში ერთადერთი მატჩი ჩავატარე, ლიბანში ამხანაგურად ვითამაშეთ და ოთხი გოლი გამიტანეს. ის თამაში ნაღდად ჩავაგდე, მაგრამ გულდაწყვეტილი ვარ, მეტი შანსი რომ აღარ მომცეს.

**— ეგებ განმარტო...**

— შევებულებაში ვიყავი და უცებ გამომიძახეს. მოედანზე ისე გავედი, წესიერად არც მივარჯიშია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, 19 წლის ბიჭი თუნდაც ერთ შანსს მაინც ვიმსახურებდი.

**— კარგი, ახლა უფრო სასიამოვნო თემაზე ვილაპარაკოთ. ქუთაისის „ტორპედოში" თამაშისას ზედიზედ 12 მატჩში გოლი არ გაგიშვია. ეს ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში მეორე საუკეთესო შედეგია.**

— ის დრო მართლაც კარგად მახსენდება, მაგრამ უფრო სასიამოვნო მოგონება „სამგურალიდან" გამომყვა, იქ თამაშისას ხომ საქართველოს თასის ფინალში გავედი.

**— რომელიც პენალტების სერიაში წააგე...**

— ფინალამდე გაიოზ დარსაძემ გაგვიყვანა, ფინალი კი, ფაქტობრივად, უმწვრთნელოდ ვითამაშეთ. დარწმუნებული ვარ, ბატონი გაიოზი რომ გვყოლოდა, თასს ავიღებდით.

**— რა, პენალტებს აიღებდი?**

— არა, უბრალოდ, საქმეს პენალტებამდე არ მივიყვანდით. სხვათა შორის, ფინალის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს.

**— მერე ლავიწის ძვალიც მოიტეხე...**

— მაშინ უკვე „ლოკომოტივში" ვთამაშობდი. მოტეხილობის მერე ექვსი თვე გამიცდა. როცა მოვმჯობინდი და ვარჯიში დავიწყე, ხერხემლის ტრავმა მივიღე და ფეხბურთს მთელი ორი წლით ჩამოვშორდი. ის პერიოდი კოშმარად მახსოვს.

**— როგორ ფიქრობ, ტრავმის გამო გაცდენილი წლები რომ არა, ახლა ნაკრების მეკარე იქნებოდი?**

— როგორ გითხრა, რატომაც არა. თავის დროზე „დინამო 2"-ში და ნაკრებშიც მე პირველი მეკარე ვიყავი, გიორგი ლომაია კი მესამე. ხომ ხედავ, ლომაიამ რამდენს მიაღწია, დარწმუნებული ვარ, მეც მივაღწევდი.

**— ახლა პირველ ლიგაში თამაშობ...**

— ეგ არაფერი, მალე უმაღლესში ვითამაშებ. გაიოზ დარსაძემ „სამგურალი" თასის ფინალში თუ გაიყვანა, „ამერს" უმაღლეს ლიგაში ვერ გადაიყვანს? მით უმეტეს, კლუბში საუკეთესო პირობებს გვიქმნიან.

**— „ამერში" შენი მისვლა დარსაძის სურვილი იყო?**

— დიახ, რამდენი წელია, მიცნობს. მადლობელიც ვარ, მე ხომ საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი და მაინც გავახსენდი. ისე, მასთან მუშაობა იოლი არ არის, საოცრად მკაცრია, ვარჯიშები კი ძალიან მომქანცველი. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, მას ბევრი ვერ ეგუება, მაგრამ ბოლომდე თუ მიყევი, დიდ ფეხბურთს გათამაშებს და მთავარი ესაა. ჩვენი, მეკარეების მწვრთნელის, ლევან აბაშიძისაც მადლიერი ვარ. კლუბის ხელმძღვანელობა დიდ ხანს ეძებდა ძლიერ მწვრთნელს და ამის გამო ერთ ხანს უმწვრთნელოდაც ვიყავი. მაგრამ ლევან აბაშიძისთანა მწვრთნელის მოყვანა ლოდინად ღირდა.

**— მომავალში რა იქნება?**

— უმაღლესში გადავალთ, მე კი 12-მატჩიან სერიას გავაუმჯობესებ.

**კოტე კეკელია**


# ყურადღება!
**ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება**

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

## უეფას თასი 2003-2004. 1/32 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს



„ბარსელონამ“ კაცნაკლულობა არ დაიტყო,
ბერძნებს პირველი გოლი ხავიერ სავიოლამ გაუტანა

| | |
|---|---|
| **დინამო** (რუმინეთი) 3:1 ***სპარტაკი (რუსეთი)*** (0:4) | |
| 1:0 დანილესკუ (29), 2:0 გრიგორე (59), 3:0 დანილესკუ (75პ), 3:1 პარფიონოვი (85პ) | |
| *მეორე ლომაია სათადარიგო იყო* | |
| ***ბრონდბიუ (დანია)*** 2:1დ.დ.(პენ.3:1, 2:1) **შალკე** (გერმანია) (1:2) | |
| 1:0 იაკობსენი (15პ), 1:1 აგალი (55), 2:1 იონსონი (70) | |
| შალკე: როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, უდე კამპუისი, მატელანი, კობიაშვილი, პოულსენი (ვერმანტი 83), პინტუ (ასამოა 73), ალტინტოპი, ჰანკე (სანდი 91), აგალი | |
| ***ლევსკი (ბულგარეთი)*** 0:0 **სლავია** (ჩეხეთი) (2:2) | |
| ***დნეპრო (უკრაინა)*** 1:1 **დინამო** (ხორვატია) (2:0) | |
| 0:1 სედლოსკი (62), 1:1 ვენგლინსკი (64) | |
| **ლანსი** (საფრანგეთი) 1:3 ***გაზიანთეფი (თურქეთი)*** (0:3) | |
| 0:1 ბიულენთი (40), 0:2 ნამლი (55), 1:2 ბუაზიზი (73ს.კ.), 1:3 ლაზაროვი (85პ) | |
| ***ოსერი (საფრანგეთი)*** 4:0 **უტრეხტი** (ჰოლანდია) (0:0) | |
| 1:0 ჯ. სისე (21), 2:0 კაპო (29), 3:0 ჯ. სისე (48), 4:0 კალუ (58) | |
| **ვისლა** (პოლონეთი) 0:0დ.დ.(პენ.3:4, 0:0) ***ვოლერენგა (ნორვეგია)*** (0:0) | |
| **ჰართსი** (შოტლანდია) 0:2 ***ბორდო (საფრანგეთი)*** (1:0) | |
| 0:1 რიერა (8), 0:2 ფეინდუნო (66) | |
| ***ბარსელონა (ესპანეთი)*** 2:0 **პანიონიოსი** (საბერძნეთი) (3:0) | |
| 1:0 სავიოლა (34), 2:0 ლუის გარსია (44) | |
| **სპორტინგი** (პორტუგალია) 0:3 ***გენჩლერი (თურქეთი)*** (1:1) | |
| 0:1 თანდოგანი (44), 0:2 ოზქანი (46), 0:3 ჯიჰანი (49) | |
| **ტორპედო** (რუსეთი) 1:0 ***ვილიარეალი (ესპანეთი)*** (0:2) | |
| 1:0 სემშოვი (71) | |
| ***გროცლინი (პოლონეთი)*** 0:0 **მანჩესტერ სიტი** (ინგლისი) (1:1) | |
| ***მალიორკა (ესპანეთი)*** 1:1 **კოპენჰაგენი** (დანია) (2:1) | |
| 1:0 კამპანო (69), 1:1 ალბრეხტსენი (87) | |
| ***ნიუკასლი (ინგლისი)*** 1:0 **ბაზელი** (შვეიცარია) (3:2) | |
| 1:0 სმილიანიჩი (14ს.კ.) | |
| ***სოშო (საფრანგეთი)*** 4:0 **დორტმუნდი** (გერმანია) (2:2) | |
| 1:0 ფრო (5), 2:0 სანტოსი (67), 3:0 ორუმა (76), 4:0 მეტიუ (90) | |
| ***პარმა (იტალია)*** 5:0 **ზალცბურგი** (ავსტრია) (4:0) | |
| 1:0, 2:0 კარბონე (1, 25), 3:0 ე. ფილიპინი (43), 4:0, 5:0 სორენტინო (47, 86) | |
| ***ტეპლიცე (ჩეხეთი)*** 1:1 **ფეიენოორდი** (ჰოლანდია) (2:0) | |
| 0:1 სნოილი (38), 1:1 ჰორვატი (41პ) | |
| **მიოლდე** (ნორვეგია) 0:2 ***ბენფიკა (პორტუგალია)*** (1:3) | |
| 0:1, 0:2 ტიაგო (30, 44) | |
| **ჰაიდუკი** (ხორვატია) 1:1 ***რომა (იტალია)*** (0:1) | |
| 1:0 ბულე (33), 1:1 კასანო (85) | |
| **არისი** (საბერძნეთი) 1:1 ***პერუჯა (იტალია)*** (0:2) | |
| 0:1 მარჯოტა (27), 1:1 პაპადოპულოსი (90) | |
| ***ლივერპული (ინგლისი)*** 1:0 **სტიაუა** (რუმინეთი) (1:1) | |
| 1:0 კოუელი (47) | |
| ***დებრეცენი (უნგრეთი)*** 0:0 **პაოკ** (საბერძნეთი) (1:1) | |
| **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი) 0:1 ***რუსენბორგი (ნორვეგია)*** (0:0) | |
| 0:1 ბრატბაკი (51) | |
| **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) — **ვალენსია** (ესპანეთი) (0:0) გადაიდო | |

# კიგანი გროცლინს აეკიდა
## ზაზას ხუმრობა არ უყვარს

**უეფას თასის** გათამაშება გერმანული კლუბების გარეშე გრძელდება. საფრანგეთში ჩასულ დორტმუნდის „ბორუსიას“ „სოშო“ ოთხი უპასუხო გოლით გაუმასპინძლდა. თუმც ასე შეიძლება არც მომხდარიყო, სტუმართა ყმაწვილი მცველი შეხვედრის დასაწყისშივე რომ არ გაეძევებინათ. იტალიური წარმოშობის სალვატორე გამბინომ მეოთხე წუთზე მასპინძელთა ფორვარდი სანტოსი წესის დარღვევით მაშინ შეაჩერა, როცა ბრაზილიელმა მეტოქე ხელოვნური თამაშგარის შექმნისას გამოიჭირა. მსაჯმა იური ბასკაკოვმა მატჩის ხასიათი თავიდანვე წაახდინა, რადგან გამბინო, რომელსაც თამაშის დღეს 20 წელი შეუსრულდა, წითელი ბარათით დაასაჩუქრა, თან სტუმართა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტი პიერ ალან ფრომ ზუსტად შეასრულა.

კაცნაკლულმა „ბორუსიამ“, ადრე გაშვებული გოლის მიუხედავად, მასპინძელთა იერიშებს დაახლოებით ერთი საათი გუძლო, მერე კი გატყდა. სანტოსისა და ორუმას გოლებს ბოლო წუთზე შტეფან როიტერის შეცდომა დაერთო, რომელმაც უწყინარ ვითარებაში ბურთი ჟერემი მეტიუს ჩააბარა, ფრანგს კი ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

მიქაელ ლაუდრუპისა და იუპ ჰაინკესის შეგირდთა ბრძოლა ბრონდბიუში დანიელი მწვრთნელის გამარჯვებით დასრულდა. დამხვდურთა შვედი ფორვარდი იონსონი ტომაშ ვალდოხმა საკუთარ საჯარიმოში საპენალტედ დასცა და ანდრეას იაკობსენმა, ისევე როგორც გელზენკირხენში, თავისი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში სტუმართა პორტუგალიელმა მარჯვენაფლანგელმა სერჟიუ პინტუმ მეურვეები დაჩაგრა და ვიქტორ აგალის საგოლე პასი გაუჩარხა, რომელმაც მოხდენილი თავურით გაათანაბრა. ეს შედეგი ხელს „შალკეს“ აძლევდა. გერმანელები დაცვის გაძლიერებას შეუდგნენ, თუმც დან იოჰანსენის შორიდან გასროლილ ბურთს ფრანკ როსტი ვერ შესწვდა, ძელიდან უკუგდებულს კი იონსონმა ადგილი კარში მიუჩინა.

უგოლო დამატებითი დროის შემდეგ საქმე პენალტების სერიამდე მივიდა და მასპინძელთა მაროკოელმა მეკარე ქერიმ ზაზამ გერმანელ კოლეგას აჯობა. გადამწყვეტი დარტყმა ზაზამ ტომაშ ჰაიტოს აულო და „ბრონდბიუს“ მეთექვსმეტედფინალი დაუბევა.

გასულ უქმეებზე „ბოლონიას“ კარში გოლების გამტანნი (ტოტი, პანუჩი, კასანო და მონტელა) ფაბიო კაპელომ „ჰაიდუკის“ წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშა და „რომამ“ კინაღამ ცხვირი წაიმტვრია. ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა შინ დარჩნენ, პანუჩი და კასანო კი სათადარიგოთ სკამზე ისხდნენ.

ანტონიო კასანომ რომაულ მატჩში გამარჯვების გოლი გაიტანა და კაპელოს სპლიტშიც მხსნელად მოევლინა.

ხორვატები პირველი ტაიმის ბოლოს დაწინაურდნენ. ჯონათან ძებინა პეტერ კრპანს ვერ გაუმკლავდა და კრპანმა ნუნო ბულეს საგოლე პასი მიაწოდა.

სტუმრებმა შესვენების მერე სიჩქარეს უმატეს, კარში დარტყმებსაც მოუხშირეს, მაგრამ „ჰაიდუკი“ თავს გამართულად იცავდა. შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ანტონიო კასანომ სპლიტელები დაამწუხრა. მასპინძელმა მეკარემ ბურთი იტალიელი ფორვარდისკენ მოიგერია და კასანომ „რომა“ დამატებითი დროისგან იხსნა.

„დასანანია, რომ გოლი მატჩის მიწურულს გავუშვით, მაგრამ ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი. მათ თავი არ დაუზოგავთ და ბოლომდე იბრძოლეს“ — თქვა „ჰაიდუკის“ გულდაწყვეტილმა მწვრთნელმა ზორან ვულიჩმა.

პატარა პოლონური ქალაქის „გროცლინი“ სასწაულებს ახდენს. ბერლინის „ჰერტას“ ჩამოშორების შემდეგ პოლონელებმა კევინ კიგანის „მანჩესტერ სიტის“ ძლევაც მოახერხეს. „გროცლინის“ წლიური ბიუჯეტი ოდნავ ნაკლებია თუნდაც სიტელი ნიკოლა ანელკას საბაზრო ფასზე. მიუხედავად ამისა, „გროცლინმა“ ანელკას და ფაულერის მონდომებას განსწავლული დაცვა დაუყენა და შეხვედრა სასურველი ანგარიშით დაასრულა.



„ბრონდბიუ“ — „შალკე“. პენალტების სერიაში
ვერც გერმანელთა თურქმა ჰამიტ ალტინტოპმა ივარგა

„უზომოდ გახარებული ვარ და არც კი ვიცი, რა ვთქვა. ალბათ დავიმსახურეთ ეს გამარჯვება“ — წარმატებისგან ენა დაება პოლონელთა მწვრთნელ დუშან რადოლსკის.

ცხადია, საპირისპირო ხასიათზე იყო კევინ კიგანი: „რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ ჩვენ ორრაუნდიანი ბრძოლა მანჩესტერშივე წავაგეთ, როცა აურაცხელი საგოლე მომენტები დავღუპეთ. „გროცლინს“ ვულოცავ და ამ გუნდის გულშემატკივარი გავხდები უეფას თასზე“.

„ბარსელონა“ „პანიონისს“ რომ მოუგებდა, ბერძნებსაც არ ეეჭვებოდათ. სტუმართა დამარცხება კატალონიელებმა კაცნაკლულებმაც შეძლეს. ლუის ენრიკე, რომელიც რაიკარდის რჩეულ თერთმეტეულში ველარ ხვდება, ამჯერად ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა. „ბარსას“ ყოფილ კაპიტანს უთამაშებლობისგან ალბათ ნერვები წაუხდა, თორემ პირველი ტაიმის შუაში მეტოქესთან უხეშობისთვის რატომ უნდა გაეძევებინათ? სავიოლამ და ლუის გარსიამ თანაგუნდელი არ დაალალატეს და „პანათინაიკოსს“ შესვენებამდე ორი გოლი გაუტანეს.

ლისაბონის „სპორტინგს“ ანკარაში მიღწეული ფრის შემდეგ „გენჩლერბირლიგის“ ძლევა სავსებით ხელეწიფებოდა, მაგრამ თავდაჯერებული პორტუგალიელები შინ შერცხვნენ. თურქებს ხუთი წუთი დასჭირდათ მასპინძლების დასაშმათებლად. ორი გოლი პირველი ტაიმის ბოლოს გაიტანეს, მესამე კი მეორე ნახევრის დასაწყისში. თავი „გაზიანთეფსპორმაც“ ისახელა. ჯონ უტაკას „ლანსს“ თურქეთშიც მოუგო და სტუმრადაც. ლანსელებს სამბურთიანი სხვაობის გაბათილება ეჩქარებოდათ და თავიდანვე გიჟმაჟურად შეუტიეს. კონტრიერიშებზე ჩასაფრებულმა ოსმალებმა სამჯერ იხეირეს და „ლანსს“ შანსი არ დაუტოვეს.

ბუქარესტის „დინამოს“ მოსკოვური 0:4-ის სათავისოდ შემოსაბრუნებლად ერთი გოლი დააკლდა. რუმინელები მატჩის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე 3:0-ს რომ იგებდნენ, „სპარტაკის“ კარს გამეტებით მიაწყდნენ. მეოთხე გოლი სჭირდებოდათ და შეხვედრას დამატებით დროში გადაიყვანდნენ, მაგრამ სტუმრებს სერბმა ლეგიონერმა პიანოვიჩმა უშველა, როცა მეტოქის საჯარიმოში პენალტი მოინადირა, პარფიონოვმა კი თერთმეტი მეტრიდან ზუსტად დაარტყა. გაზაფხულზე „სპარტაკი“ უეფას თასზე თამაშს ახალი მწვრთნელით, ნევიო სკალათი გააგრძელებს.

მოსკოვის „ტორპედოს“ ხელოვნურსაფარიანი მოედნის ეიმედებოდა, მაგრამ ბენიტო ფლორომ „ვილიარეალი“ რუსეთში ორი დღით ადრე ჩაიყვანა და ფეხბურთელები „ცრუ ბალახს“ შეაჩვია. „ტორპედომ“ მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა და გზა რიკელმეანდერსონის გუნდს დაუთმო.

**გაჩა ხუციშვილი**



კარლტონ კოული



ტიტუს ბრამბლი

# ორი ციხეში

## კარლტონ კოული და ტიტუს ბრამბლი 17 წლის გოგოს გაუპატიურებაში ამხილეს

ხომ არ დაგავიწყდათ 27 სექტემბერს გაუპატიურებული ლონდონელი გოგო? თუ დაგავიწყდათ, გაგახსენებთ, რაც მოხდა: ინგლისის დედაქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში 17 წლის გოგო მავან ფეხბურთელს ღამის სიამტკბილობის გასატარებლად აჰყვა, მაგრამ მოულოდნელად ოთახის კარი გაიღო და შიგ მამაკაცთა ჯგუფი შევარდა. ამ ჯგუფმა, რომელშიც, დაზარალებულის ჩვენებით, ფეხბურთელები შედიოდნენ, ახალგაზრდა ქალი გააუპატიურა. გაუპატიურებულმა მეორე დღეს პოლიციას მიმართა. საქმე გახმაურდა.

ყოველივე ამის შესახებ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში საკმაოდ დაწვრილებით წერდნენ ინგლისური გაზეთები, მაგრამ შემდეგ თითქოს ვიღაცამ ხელი დაიქნიაო, ერთბაშად გაჩუმდნენ. მას მერე ახალი არაფერი გვსმენია, მაგრამ აი, გადაფურცლეთ 25 ნოემბრის „დეილი მეილი" და ვხედავთ, რომ მის ფურცლებზე ორი ფეხბურთელის გვარი სწერია: ტიტუს ბრამბლი და კარლტონ კოული.

ბრამბლი 22 წლისაა, კოული 19-ის. პირველი „ნიუკასლ იუნაიტედის" წევრია, მეორე „ჩელსის". თუმცა ამჟამად „ჩარლტონ ატლეტიკში" განათხოვრებული. და ეს ორი ფეხბურთელი დღეს დაპატიმრებულნი გახლავან.

კოული და ბრამბლი თავიდან 10 ოქტომბერს დააპატიმრეს და დაკითხეს. ორივეს მაშინვე აუღეს დნმ-ს ანალიზი, მაგრამ გაუშვეს კიდეც და რაც უფრო მთავარია, მათი სახელები დამალეს. სახელების დამალვის მიზეზი გენერალური ვექილის, ლორდ გოლდსმიტის ბრძანება გახლდათ. მან ეჭვმიტანილთა საჯარო იდენტიფიკაცია აკრძალა, თუმცა, როგორც ხედავთ, ლორდ გოლდსმიტის განკარგულებით დღეს ამ ორი გვარის დასახელება შესაძლებელი გახდა. „დეილი მეილისთვის" ცნობილი გახდა, რომ „სკოტლანდ იარდი" ანუ პოლიცია, პროკურატურას საქმეს დაახლოებით ორ კვირაში გადასცემს.

შეგახსენებთ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით იმთავითვე გახმაურდა ცნობილი კირონ დაიერის ვინაობაც. უფრო სწორად, დაიერმა თავად განაცხადა, რომ გაუპატიურებასთან არაფერ შუაშია, მას, როგორც გაირკვა, უბრალოდ სასტუმროში ნომრები ჰქონდა დაქირავებული.

დაპატიმრებულია კიდევ ორი ადამიანი. ისინი ფეხბურთელები არ ბრძანდებიან. ერთის ვინაობა ჩვენ ჯერ კიდევ ოქტომბერში ვახსენეთ. იგია 29 წლის ნიკოლას მეიკლი, ხოლო მეორე 24 წლის ჯეისონ ედუარდსი. მეიკლი პროფესიით დღესასწაულთა მომწყობია, ხოლო ედუარდსი ინჟინერი.

და ბოლოს, როგორც კოულისა და ბრამბლის ადვოკატმა, გრემ შერმა განაცხადა მისი კლიენტები ნებისმიერ წამს დაამტკიცებენ, რომ კანონი არ დაურღვევიათ, რადგან რაც მოხდა, ყველაფერი ქალთან ყოფილა შეთანხმებული.

**ბაბუნა ძიძია**





მიხაელ ბალაკს რომან აბრამოვიჩმა დაადგა თვალი

# ჩელსი: ბალაკის ახალი რომანი?!

**ლონდონური** „ჩელსის" რუსი მფლობელი რომან აბრამოვიჩი თურმე მიუნხენის „ბაიერნის" და ბუნდესნაკრების გავლენიანი ნახევარმცველით, მიხაელ ბალაკითაც დაინტერესებულა.

ამას არც თავად ფეხბურთელის აგენტი, მიხაელ ბეკერი უარყოფს.

„ინგლისიდან მართლაც დამიკავშირდნენ — ამბობს იგი — მათ ამიხსნეს, რომ „ჩელსის" ძალიან სურს ბალაკის შეძენა."

ამ ცნობამ გერმანელი ქილიკოსები უმალ ფეხბურთელსა და მისი კლუბის მამებს შორის არსებულ არცთუ დამტკბარ ურთიერთობებზე აალაპარაკა.

„ბაიერნის" პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი და მენეჯერი ული ჰიონესი ბალაკს ლამის კლუბში გადასვლიდანვე რომ აკრიტიკებენ, ეგ ძველი ამბავია.

ახალი ისაა, რომ ჰიონესმა 27 წლის გამთამაშებელი ამას წინათაც გაჰქირდა — ფორმაში არ არის და ვერ დარბისო — რასაც „სელტიკთან" 0:0-ის შემდეგ კაიზერ ფრანციც შეუერთდა: „ბალაკი ბოლომდე მართლაც ვერ მუშაობს. მას ნაღდად აკლია მომზადება."

ყოველივე ამის გამო გერმანული მედია თვლის, რომ ბალაკი სიამოვნებით დათანხმდება ინგლისიდან მიღებულ წინადადებას. ეგ მით უფრო, რომ მის შესაძენად საჭირო მილიონებს რუსჩუქჩა მილიარდერი დაუნანებლად მოიკლებს.



კარგი ფულის სანაცვლოდ ული ჰიონესი ბალაკს შეელევა

მორიგი 25-30 მილიონევროიანი ხარჯის გაღება 8,3 მილიარდი დოლარის მქონე კაცისთვის, ვინაც „ფორბსის" თანახმად უმდიდრესი არაამერიკელია, პრობლემას მართლაც არ უნდა წარმოადგენდეს.

და იმის მიუხედავად, რომ „ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი ამბობს — „ბალაკის გუნდიდან წასვლაზე საუბარი სრული უაზრობაა" — გერმანული მედია მაინც არ ცხრება

აკი გუშინდელმა ესპანურმა „მარკამაც" გვაუწყა, რომ ნატიფი გერმანელი ნახევარმცველით მადრიდის „რეალიცაა" დაინტერესებული...

ერთი იმასლა დავსძენთ, რომ კონტრაქტის მიხედვით ბალაკი მიუნხენში 2006 წლამდე უნდა დარჩეს.

**კარლო გოგოლი**

# ჩვენ სვენი ვთქვათ და სვენმა თავისიო



**სვენ გორან ერიქსონს** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 14 მილიონი გირვანქა და ოთხწლიანი თანამშრომლობა შესთავაზა. მას მერე, რაც ფეხბურთის ასოციაციის დირექტორად ტრევორ ბრუკინგი დანიშნეს, ნათელი იყო, რომ შვედს კონტრაქტის გაგრძელებას შესთავაზებდნენ. სხვა საქმეა, რომ თავად ერიქსონი ამ თემაზე საუბარს ყოველმხრივ თავს არიდებდა და თუ რამეს ამბობდა, მხოლოდ იმას, რომ კონტრაქტზე ევრო 2004-ზე გამარჯვების შემთხვევაში თუ ილაპარაკებდნენ. ერთი ხანობა დაირხა ხმა, რომ ერიკსონს 2006 წლამდე ანუ მსოფლიოს ჩემპიონატამდე გაუგრძელებდნენ თანამშრომლობის ვადას.

ერიკსონის აგენტმა ათოილ სტილმა განაცხადა: „სვენის პირველი რეაქცია უკმაყოფილება გახლდათ. მან იცის, რომ ამიერიდან ყოველ პრესკონფერენციაზე ერთსა და იმავეს ჰკითხავენ, მოაწერა ახალ კონტრაქტს უკვე ხელი თუ არა. მოლაპარაკების ამბავი სწორედ მაშინ გახადეს საჯარო, როდესაც საიდუმლოდ უნდა შეენახათ. მე პირადად ვერ გეტყვით რა და როგორ მოხდება, რადგან ჩემსა და სვენს შორის სერიოზული საუბარი არ ყოფილა. ადრე რამდენჯერმე მითხრა, რომ საკლუბო ფეხბურთი ენატრებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, წარმატება ნარკოტიკივითაა და თუ ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვებს, არავინ იცის, რა მოხდება".

გავიხსენოთ, რომ ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ შეფს, მარკ პელიოსს ამ ცოტა ხნის წინ გვარიანი კრიტიკა დაატყდა თავს. ამის მიზეზი რიო ფერდინანდის გახმაურებული ისტორია გახლდათ, რასაც დანიასთან მატჩის წინ ალან სმიტის ამბავიც მოჰყვა. მაშინ ერიკსონმა ფეხბურთელებს დაუჭირა მხარი და ფეხბურთის ასოციაციაზე საკმაოდ გაღიზიანებულმაც ილაპარკა, მაგრამ დღეს, როგორც ხედავთ სხვა ისტორიაა. ასოციაცია თანამშრომლობას სთავაზობს და თან ამოწმებს, აბა შენი ერთგულება მაჩვენეო. შეგახსენებთ, რომ სვენ გორან ერიკსონი, როგორც ამბობენ, „ჩელსის" რუს მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს უნდა თავისთვის.

იმასაც ამბობენ, ერიკსონისთვის ნათელია, რომ ფეხბურთის ასოციაციის შეფთა დიდ ნაწილს ხმამაღლა ვითომ მისი თანამდებობაზე დარჩენა სწადია, გულში კი ერთი სული აქვს, თავიდან როდის მოიშორებსო.

ისე, ასოციაციისთვის საუკეთესო ვარიანტი ის იქნება, ერიკსონი ახალ კონტრაქტს ხელს თუ მოაწერს და მერე მაინც „ჩელსიში" წავა. ასეთ შემთხვევაში ინგლისური ფეხბურთის ბოსები კომპენსაციის გამო ფულს იშოვნიან.

**ბაბუნა ძიძია**

# მოკლე ჩართვა





## კრუიფი VS ანჩელოტი

„აიაქსის" და „მილანის" მატჩის შემდეგ, რომელიც გასულ ოთხშაბათს ამსტერდამში გაიმართა, იოჰან კრუიფმა „შავ-წითლები" ასე შეაფასა: „მილანი" ჩვეულებრივი იტალიური გუნდია. მოსაგებად თამაშობს, მაგრამ მოედანზე შოუს ვერ მართავს".

კრუიფის ნათქვამი კარლო ანჩელოტის ყურამდე მიიტანეს, რაზეც იტალიელმა მწვრთნელმა მიუგო: „მას სანახაობა თუ სჭირდება, კინოში წავიდეს. მე, როგორც წესი, ასე ვიქცევი".

# ვინ გავაგდოთ ანრი რომ მოვიდეს?
## რობერტო კარლოსი ზიდანს და რონალდოს ქომაგობს

*რეალელი რობერტო კარლოსი ტრავმის გამო, სავარაუდოდ, ნავარულ „ოსასუნასთან“ საპრიმერო შეხვედრას გამოტოვებს. მიუხედავად მუხლის ტკივილით მოგვრილი უსიამოვნებისა, ხუმარა და ლაღი ხასიათით ცნობილი ბრაზილიელი მადრიდულ „ასსაც“ ხალისით ესაუბრა*



— ტრავმა ძლიერ გაწუხებთ?

— პამპლონაში თამაში ძალიან მსურს, მაგრამ არც ის მინდა, რომ უმართებულოდ გავრისკო. ჯერ სრულად არ მოვრჩენილვარ და თუ კვლავ დავშავდი, „რეალს“ დიდ ზარალს მივაყენებ.

— „ოსასუნა“ სახიფათო მეტოქეა?

— საკმაოდ სახიფათო. ყოველ შემთხვევაში, ყველა ჩვენგანმა იცის, რომ იოლი გასეირნება არ გველის.

— „რეალის“ სამომავლო ძალებზე ვისაუბროთ. უკვე ცნობილია, რომ ფლორენტინო პერესი მავან ინგლისურ კლუბთან სერიოზულ მოლაპარაკებას აწარმოებს. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ტიერი ანრის მოსვლა თუ წარმოგიდგენიათ?

— კიდევ ერთი თავდამსხმელი? არ ვიცი, ფლორენტინო რაზე ფიქრობს. მაშინ ალბათ რომელიმე სხვა ფეხბურთელს მოუხდება კლუბიდან წასვლა.

— ნახეთ ანრის ამასწინდელი თამაში მილანურ „სან სიროზე“?

— ტიერი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო მობურთალის ტიტულს ალბათ მაინც ზიდანი ან რონალდო მოიპოვებენ. ვამჯობინებდი, ეს ჯილდო „რეალის“ ფეხბურთელისთვის მიეცათ.

— არსენალელი ფრანგი არ იმსახურებს ამ ტიტულს?

— კი იმსახურებს, თუმც მე მაინც ჩვენებს ვუქომაგებ.

— „რეალი“ სეზონის ბოლოსაც პრიმერას ლიდერი იქნება?

— ამის უდიდესი შანსი გვაქვს. ვნახოთ, სამომავლოდ საქმეები როგორ წარიმართება.

— „ბარსელონას“ ფეხბურთელებთან დამოკიდებულებაზე რას იტყვით?

— მეგობრულია. მოგეხსენებათ, „კამპ ნოუზე“ რა დაძაბული შერკინებაც გველოდება და ორივე გუნდის წევრები ვეცდებით, შარშანდელი კონფლიქტები აღარ განმეორდეს.

— რონალდინიოსთან დერბი თუ გახალისებთ?

— მიხარია, რონი ესპანურ ლიგაში რომ თამაშობს. რამდენიმე წელიწადში ბიჭუნას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობაში ვერავინ შეეცილება. რონალდინიო ჭეშმარიტად ფასდაუდებელი მარგალიტია.

## არგენტინა

**აპერტურა. XVI ტური**

**არსენალი — ბოკა ხუნიორსი 1:2; ოლიმპო — ველესი 1:0; სან ლორენსო — ხიმნასია 0:1; ოლდ ბოიზი — ტალიერესი 4:3; კილმესი — ჩაკარიტა 0:0; ბანფილდი — ნუევა ჩიკაგო 2:0; კოლონი — როსარიო 2:2; ინდეპენდიენტე — ლანუსი 0:0. *ესტუდიანტესი — ატლეტიკო 57-ე წუთზე ჩაიშალა, როცა ანგარიში იყო 0:0, რასინგი — რივერ პლეიტი გადაიდო***

1991 წლიდან არგენტინის ჩემპიონატი აპერტურა (გახსნა)-კლაუსურა (დახურვა) სისტემით იმართება. ოცი გუნდი გაზაფხულზე და შემოდგომაზე ერთ წრედ თამაშობს, ნაღდი ჩემპიონი კი შემოდგომისაა, არგენტინული ოქროს ამჯერად, ორი ტურით ადრე, „ბოკა ხუნიორსი“ დაეპატრონა. 1991 წლის შემდეგ „ბოკამ“ ჩემპიონობა მეხუთედ მიითვისა, მწვრთნელი კი კარლოს ბიანკი გახლავთ, რომლის თავკაცობითაც გუნდმა ამ სეზონში „ლიბერტადორესის“ თასიც აღმართა და 14 დეკემბერს ტოკიოში „მილანს“ საკონტინენტთაშორისო თასისთვის შეებრძოლება.

„ბოკა ხუნიორსს“ ნაადრევად გაჩემპიონებაში მდევარ „სან ლორენსოს“ საშინაო მარცხიც წაეხმარა, მარადონას ყოფილმა გუნდმა კი ოქრო არგენტინული „არსენალის“ 2:1 ძლევით გაინაღდა. თანაგუნდელებთან ერთად გამარჯვება 19 წლის კარლოს ტევესმა ვერ იზეიმა, რომელიც მარადონას ათნომრიანი მაისურის მფლობელია და ახლა 20-წლამდელთა ნაკრებში ქვეყნის ღირსებას საამიროებში იცავს, სადაც ახალგაზრდებთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს.

# ბოკაობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 17 | 11 | 5 | 1 | 29:8 | 38 |
| სან ლორენსო | 17 | 9 | 3 | 5 | 20:12 | 30 |
| ბანფილდი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:14 | 28 |
| ოლდ ბოიზი | 16 | 7 | 6 | 3 | 23:14 | 27 |
| როსარიო | 16 | 7 | 6 | 3 | 24:21 | 27 |
| კილმესი | 16 | 7 | 5 | 4 | 17:11 | 26 |
| ჩაკარიტა | 16 | 5 | 7 | 4 | 18:15 | 22 |
| არსენალი | 16 | 5 | 6 | 5 | 17:16 | 21 |
| რასინგი | 15 | 4 | 8 | 3 | 20:17 | 20 |
| ველესი | 16 | 5 | 5 | 6 | 16:21 | 20 |
| კოლონი | 16 | 4 | 7 | 5 | 18:20 | 19 |
| ლანუსი | 16 | 3 | 10 | 3 | 18:20 | 19 |
| რივერ პლეიტი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:19 | 19 |
| ტალიერესი | 16 | 5 | 4 | 7 | 24:29 | 19 |
| ხიმნასია | 16 | 4 | 5 | 7 | 10:18 | 17 |
| ინდეპენდიენტე | 16 | 3 | 7 | 6 | 12:16 | 15 |
| ესტუდიანტესი | 15 | 4 | 4 | 7 | 11:15 | 16 |
| ატლეტიკო | 15 | 3 | 6 | 6 | 16:23 | 15 |
| ოლიმპო | 16 | 3 | 4 | 9 | 12:21 | 13 |
| ნუევა ჩიკაგო | 16 | 2 | 4 | 10 | 12:27 | 10 |

*„ბოკა ხუნიორსი“ აპერტურას ჩემპიონია*







# ლუსიო ბებერმა ქალბატონმა შეაცდინა

**ლევერკუზენის** „ბაიერნის“ სტოპერმა ლუსიომ დაადასტურა, რომ მომდევნო სეზონში, დიდი შანსია, მან ტურინის „იუვენტუსში“ ითამაშოს. როგორც ამტკიცებენ, „ბებერი ქალბატონი“ ბრაზილიელზე იმხელა ზეწოლას ახდენს, ძნელია ფეხბურთელმა გადასვლაზე უარი უთხრას.

„მე მოხიბლული ვარ „იუვენტუსით“ — უთხრა ლუსიომ იტალიურ „ტუტო სპორტს“ წინა კვირაში — იქ სათამაშოდ თავს მზად ვთვლი და სიმართლე გითხრათ, ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევის სურვილი არ გამნელებია. ეს კი „იუვენტუსში“ ბევრად უფრო იოლად მისაღწევია.“

სხვათა შორის, წინა ზაფხულში „რომა“ ლუსიოში ლევერკუზენელებს 10 მილიონ ევროს უხდიდა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა, მაშინ ლუსიომ თავად იუარა იტალიის დედაქალაქში გადაბარგება.

ისევ ლუსიო: „მინდა გითხრათ, რომ ჩემით „იუვენტუსის“ გარდა „ჩელსიც“ არის დაინტერესებული, მაგრამ კონკრეტული წინადადებები მხოლოდ ტურინიდან მოვიდა. ამასთანავე, ჩემი გადასვლა მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული, გადამწყვეტი სიტყვა კლუბს ეკუთვნის. „რომა“? ამბობდნენ, რომ მე რომაელებს უზარმაზარი ხელფასი მოვთხოვე. თითქოს იმდენივე მოვითხოვე, რამდენსაც ფრანჩესკო ტოტის უხდიან, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ მე იქ არასდროს მდომებია გადასვლა.“

**ირაკლი ნინიძე**

# სახლში და-გაზა
## გესქოინი მგლებმა დააფრთხეს

**თავიდან** „ნიუკასლში“ იყო, მერე „ტოტენჰემ ჰოთსპურზში“ გადავიდა, იქიდან რომში ჩავიდა და „ლაციოში“ წაითამაშა, რომიდან გლაზგოს „რეინჯერსს“ ეწვია, „რეინჯერსიდან“ „მიდლსბროში“ გადაბარგდა, „ბოროდან“ „ევერტონს“ მიაშურა, ლივერპულიდან... ჩინურ გუნდში გადაიხვეწა, ჩინეთიდან მთვრალმა აახვია და ლონდონში „ჰითროუს“ აეროპორტში აღმოჩნდა, ლონდონიდან ამერიკაში, სამკურნალოდ დეზინტოქსიკაციურ კლინიკაში გააქანეს, ოკეანის გაღმიდან გამოღმა გამოვიდა და სამშობლოში დაბრუნდა, დიდი ფეხბურთის თამაში მწადიაო, თქვა, მაგრამ დიდი ფეხბურთისთვის ძალიან დიდი გამოდგა — „ვულვერჰემპტონში“ მიიღეს, ბებერი მგლების ადგილი აქ არისო. ხუთ მატჩში „ვულვზის“ სათადარიგო გუნდშიც იბურთავა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა. 36 წლისაა და 936 სიგიჟის ავტორია, ინგლისის ნაკრების მაისურა 57-ჯერ მოურგია, დღეს კი აღარავინ შეიფარა და... სახლისკენ გაუტია.




„პოლ გესქოინმა თვითონ გადაწყვიტა, რომ პრემიერლიგის დონეს მის ასაკში ველარ შესწვდება. იგი გუნდიდან წავიდა, დაგვემშვიდობა და მოგვაძახა, შინ დავჯდები და მოვიფიქრებ, მომავალში რა უნდა ვაკეთო“ — თქვა გუშინ „ვულვზის“ მწვრთნელმა დეივ ჯონსმა.

კითხვის პასუხი გახსოვთ? და გაზა...?

**გაჩა ხუციშვილი**

## იტალია

პაატა კედია

# ზიზღი იუვენტუსს

| XI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სიენა | — | ლაციო |
| იუვენტუსი | — | ინტერი |
| **ხვალ** | | |
| ბრეშა | — | უდინეზე |
| მილანი | — | მოდენა |
| პარმა | — | კიევო |
| პერუჯა | — | ემპოლი |
| რეჯინა | — | ბოლონია |
| რომა | — | ლეჩე |
| სამპდორია | — | ანკონა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 10 | 8 | 2 | 0 | 25:9 | 26 |
| რომა | 10 | 7 | 3 | 0 | 22:3 | 24 |
| მილანი | 10 | 7 | 3 | 0 | 18:4 | 24 |
| ინტერი | 10 | 5 | 4 | 1 | 17:5 | 19 |
| ლაციო | 10 | 6 | 1 | 3 | 18:13 | 19 |
| პარმა | 10 | 5 | 3 | 2 | 16:10 | 18 |
| კიევო | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| მოდენა | 10 | 4 | 2 | 4 | 10:10 | 14 |
| სამპდორია | 10 | 3 | 4 | 3 | 9:10 | 13 |
| უდინეზე | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | 12 |
| სიენა | 10 | 2 | 5 | 3 | 12:10 | 11 |
| რეჯინა | 10 | 1 | 6 | 3 | 10:19 | 9 |
| ბრეშა | 10 | 1 | 5 | 4 | 15:21 | 8 |
| ლეჩე | 10 | 2 | 2 | 6 | 11:21 | 8 |
| ბოლონია | 10 | 1 | 3 | 6 | 9:17 | 6 |
| პერუჯა | 10 | 0 | 6 | 4 | 12:21 | 6 |
| ემპოლი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:22 | 5 |
| ანკონა | 10 | 0 | 4 | 6 | 5:19 | 4 |

ზოგ ტრადიციულ დაპირისპირებას მადონინა ჰქვია, ზოგს ელ კლასიკო, ზოგსაც რა. საერთოდ, მოვლენებს სახელის შერქმევა უხდება, უფრო მნიშვნელოვანს და ლამაზს, უფრო ისტორიულს ხდის მათ. აი, მაგალითად, „იუვენტუსისა" და „ინტერის" თამაშს „იტალიის დერბი" ჰქვია. ის ჩვეულებისამებრ დაძაბული, ხშირად სადავო და საკამათოა, თუმცა ამ რამდენიმე დღის წინ „ინტერის" მარცხი „არსენალთან" (1:5) მეტისმეტად დამაფიქრებელი გამოდგა — ვაითუ, მილანელი „შავ-ლურჯები" დაითრგუნენ და „იუვეს" ფიცხელი ბრძოლა ვერ გაუმართონ.

სულ სერია A-ში ეს გუნდები 146-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ამათგან „ბებერმა ქალბატონმა" 69-ჯერ მოიგო, 37 თამაში ფრედ დასრულდა, ხოლო 40 „ინტერის" გამარჯვებით დამთავრდა. გასულ სეზონში „დელე ალპიზე" „იუვენტუსმა" 3:0 მოიგო, თუმცა არქივს უკეთ თუ ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ ტურინში „ინტერს" 1993 წლის მარტის შემდეგ არ (მაშინ 2:0 გაიმარჯვა) მიუღწევია წარმატებებისთვის. მას შემდეგ, ათი ვიზიტის ჯამში მილანელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს — კრისტიან ვიერიმ პენალტით შეაგდო.

დღეისთვის „იუვე" შეუჩერებელი სჩანს, თუმცა დაკვირვებული ხალხის აზრით, მას ამჯერად უფრო სუსტი დაცვა ჰყავს, ვიდრე მარჩელო ლიპის სხვა ეპოქებში ჰყავდა. მხოლოდ სამ თამაშში შეძლო „ბებერმა ქალბატონმა" გოლის არგაშვება და ისიც „მოდენასთან", „რეჯინასთან" და „ბრეშასთან", სამაგიეროდ, ჩემპიონმა მხოლოდ ორ შეხვედრაში დაკარგა ქულები, „რომასა" და „მილანთან", მაგრამ...

„„იუვენტუსის" საეჭვო მოგება ხშირად მინახავს — განაცხადა ამ კვირაში „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ — თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, მხოლოდ ზიზღს გამოიწვევს".

„ერთის წარმატება მეორის შურს იწვევს ხოლმე" — შეუთვალა პასუხად „იუვეს" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

მსჯელობს „ბებერი ქალბატონის" ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგეც:

„მიუხედავად ათქულიანი ჩამორჩენისა, „ინტერი" ძალიან ძლიერი გუნდია და ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ამ გუნდმა ტაქტიკა შეცვალა და ყველა რგოლში თვალსაჩინოდ გაძლიერდა."

„რომა" კი ჩინებულ ფორმაშია და „ლეჩეს" მასპინძლობს. ერთი სიტყვით, სრულიად მოსალოდნელია, რომ რომაელებმა ასპროცენტიანი საშინაო შედეგი ამჯერადაც განაგრძონ.

„მილანი" „მოდენას" მასპინძლობს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „მოდენა" „მილანისთვის" ტრადიციულად უხერხული მეტოქეა, მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვ — „იუვე", როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ინტერს" ეთამაშება და თუ... ერთი სიტყვით, საქმე იმ უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს, როდესაც „მილანმა" შესაძლოა „ინტერს" უქომაგოს.

„მილანის" თავდასხმაში ანდრეი შევჩენკოს მხარდამხარ, ალბათ, იონ დალ ტომასონი ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფილიპო ინძაგი ნატკენ ბარძაყს დაასვენებს. სერჟინიო და კახა კალაძე კვლავ ვერ თამაშობენ.



წინა სეზონის ტურინულ მატჩში „იუვემ" „ინტერს" 3:0 მოუგო, ბოლო გოლი მილანელებს მაურო კამორანეზიმ (მარჯვნივ) გაუტანა

## ინგლისი

[illegible] კაკალია



# ზურგმა ვერონი მანჩესტერთან არ მიუშვა

| XIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | — | საუთჰემპტონი |
| ბლეკბერნი | — | ტოტენჰემი |
| ბოლტონი | — | ევერტონი |
| **29 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 18.00 | 1095 | ფერიესტადი-იურგორდენი | 1,45 | 4,8 | 4,4 | 1,11 | 1,09 | 2,29 |
| 18.00 | 1096 | ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 2,5 | 4,4 | 1,95 | 1,59 | 1,09 | 1,35 |
| 18.00 | 1097 | ლეკსანდი-ლულეო | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |
| 18.00 | 1098 | სიოდერტელიე-მალმიო | 1,8 | 4,6 | 2,7 | 1,29 | 1,08 | 1,7 |
| **30 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 19.00 | 1099 | მოდო-ჰვ 71 | 2,1 | 4,4 | 2,35 | 1,42 | 1,1 | 1,53 |
| 19.00 | 1100 | ლინჩიოპინგი-ტიმრე | 2,0 | 4,4 | 2,45 | 1,37 | 1,1 | 1,57 |
| **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | | | |
| **29 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 19.00 | 1113 | ილვესი-კერპეტი | 2,1 | 4,6 | 2,3 | 1,44 | 1,09 | 1,53 |
| 19.00 | 1114 | პელიკანსი-ესეტი | 2,2 | 4,6 | 2,2 | 1,48 | 1,1 | 1,48 |
| 19.00 | 1115 | სეიპა-ესპოო | 1,9 | 4,6 | 2,5 | 1,34 | 1,07 | 1,61 |
| 19.00 | 1116 | ტურკუ-ლუკო | 1,7 | 4,8 | 3,0 | 1,25 | 1,08 | 1,84 |
| **30 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 17.00 | 1117 | იუვასკიულე-ჰამეენლინა | 2,3 | 4,6 | 2,1 | 1,53 | 1,09 | 1,44 |
| **ჰოკეი. NHL** | | | | | | | | |
| **29 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 01.00 | 1152 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 1,9 | 3,6 | 3,0 | 1,24 | 1,16 | 1,63 |
| 04.00 | 1153 | კაროლინა-პიტსბურგი | 1,8 | 3,6 | 3,2 | 1,19 | 1,15 | 1,69 |
| 04.00 | 1154 | მონრეალი-ფლორიდა | 2,0 | 3,6 | 2,8 | 1,28 | 1,16 | 1,57 |
| 04.00 | 1155 | აილენდერსი-ფილადელფია | 2,45 | 3,3 | 2,35 | 1,4 | 1,19 | 1,37 |
| 04.00 | 1156 | ოტავა-ტორონტო | 2,15 | 3,5 | 2,6 | 1,33 | 1,17 | 1,49 |
| 04.00 | 1157 | ატლანტა-ტამპა ბეი | 2,3 | 3,6 | 2,35 | 1,4 | 1,16 | 1,42 |
| 04.00 | 1158 | კოლამბუსი-ვაშინგტონი | 1,9 | 3,6 | 3,0 | 1,24 | 1,16 | 1,63 |
| 05.00 | 1159 | სტ.ლუისი-დეტროიტი | 2,05 | 3,5 | 2,8 | 1,29 | 1,18 | 1,55 |
| 05.00 | 1160 | ნეშვილი-ბუფალო | 2,05 | 3,5 | 2,8 | 1,29 | 1,18 | 1,55 |
| 07.00 | 1161 | კალგარი-ვანკუვერი | 2,5 | 3,6 | 2,15 | 1,47 | 1,15 | 1,34 |
| **კალათბურთი. იტალია** | | | | | | | | |
| **29 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 18.00 | 1216 | სკავოლინი-სკიპერი | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |
| 23.30 | 1217 | კანტუ-ვარეზე | 1,5 | 10,0 | 2,2 | 1,3 | 1 | 1,8 |
| **30 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 21.15 | 1218 | უდინე-როსეტო | 1,2 | 10,0 | 3,5 | 1,07 | 1 | 2,59 |
| 21.15 | 1219 | ტერამო-მილანი | 1,9 | 10,0 | 1,7 | 1,59 | 1 | 1,45 |
| 21.15 | 1220 | მესინა-ბიელა | 1,75 | 10,0 | 1,85 | 1,48 | 1 | 1,56 |
| 21.15 | 1221 | ლივორნო-ტრიესტი | 1,5 | 10,0 | 2,2 | 1,3 | 1 | 1,8 |
| 21.15 | 1222 | რომა-ბენეტონი | 2,3 | 10,0 | 1,45 | 1,86 | 1 | 1,26 |
| 23.30 | 1223 | აველინო-ნაპოლი | 1,95 | 10,0 | 1,65 | 1,63 | 1 | 1,41 |
| **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | | | |
| **29 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 22.00 | 1228 | მურსია-სან ფერნანდო | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |
| 22.15 | 1229 | ბრეოგანი-ხირონა | 1,2 | 10,0 | 3,5 | 1,07 | 1 | 2,59 |
| 22.30 | 1230 | ვალენსია-რეალი | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |
| **30 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 15.30 | 1231 | ესტუდიანტესი-ალიკანტე | 1,1 | 10,0 | 4,0 | 1 | 1 | 2,85 |
| 15.30 | 1232 | ტენერიფე-ხუვენტუდი | 1,35 | 10,0 | 2,5 | 1,18 | 1 | 2 |
| 15.30 | 1233 | ბარსელონა-ლეიდა | 1,1 | 10,0 | 4,0 | 1 | 1 | 2,85 |
| 16.00 | 1234 | აუნკაბლე-ვალიადოლიდი | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |
| 22.00 | 1235 | მანრესა-უნიკახა | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | | | |
| **29 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 18.30 | 1240 | ირაკლიო-მაკედონიკოსი | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |
| 19.00 | 1241 | პაოკ-არისი | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 20.00 | 1242 | ირაკლისი-ილისიაკოსი | 1,05 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 21.00 | 1243 | პერისტერი-აპოლონი | 1,05 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| **30 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 19.00 | 1244 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 2,3 | 10,0 | 1,4 | 1,86 | 1 | 1,22 |
| 21.00 | 1245 | აეკ-მარუსი | 1,6 | 10,0 | 2,0 | 1,37 | 1 | 1,66 |
| 21.00 | 1246 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი | 1,05 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| **კალათბურთი. NBA** | | | | | | | | |
| **29 ნოემბერი** | | | | | | | | |
| 22.00 | 1281 | ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი | 1,9 | 10,0 | 1,7 | 1,59 | 1 | 1,45 |
| 04.00 | 1282 | ფილადელფია-ატლანტა | 1,23 | 10,0 | 3,3 | 1,09 | 1 | 2,48 |
| 04.00 | 1283 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 2,0 | 10,0 | 1,6 | 1,66 | 1 | 1,37 |
| 04.30 | 1284 | კლივლენდი-მემფისი | 1,65 | 10,0 | 1,95 | 1,41 | 1 | 1,63 |
| 04.30 | 1285 | მაიამი-ტორონტო | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| 05.30 | 1286 | დალასი-მინესოტა | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2.36 |
| 06.00 | 1287 | მილუოკი-ბოსტონი | 1,6 | 10,0 | 2,0 | 1,37 | 1 | 1,66 |
| 07.00 | 1288 | სიეტლი-ჰიუსტონი | 1,65 | 10,0 | 1,95 | 1,41 | 1 | 1,63 |
| 07.30 | 1289 | გოლდენ სტეიტ-სან ანტონიო | 2,2 | 10,0 | 1,5 | 1,8 | 1 | 1,3 |
| 07.30 | 1290 | კლიპერსი-დენვერი | 1,65 | 10,0 | 1,95 | 1,41 | 1 | 1,63 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| **29 ნოემბერი** | | | | |
| 16.30 | 5316 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5317 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5318 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5319 | ბოლტონი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5320 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5321 | პორტსმუთი-ლესტერი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 5322 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 5323 | ბაიერნი-კიოლნი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 5324 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,65 | 1.95 |
| 18.30 | 5325 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5326 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5327 | გლადბახი-ლაუტერნი | 1,65 | 1.95 |
| 18.30 | 5328 | ბოხუმი-შტუტგარტი | 1,6 | 2.0 |
| 21.00 | 5329 | სიენა-ლაციო | 1,6 | 2.0 |
| 23.30 | 5330 | იუვენტუსი-ინტერი | 1,65 | 1.95 |
| 20.00 | 5331 | მურსია-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5332 | ოსასუნა-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5333 | ატლეტიკო-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 5334 | ვალენსია-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| **30 ნოემბერი** | | | | |
| 18.00 | 5335 | არსენალი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5336 | ლივერპული-ბირმინგემი | 1,7 | 1.9 |
| 19.00 | 5337 | სიტი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 5338 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 5339 | ჰერტა-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 5340 | ჰანზა-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5341 | მილანი-მოდენა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5342 | პარმა-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5343 | პერუჯა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5344 | რეჯინა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5345 | რომა-ლეჩე | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5346 | სამპდორია-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5347 | ბრეშა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5348 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5349 | მალიორკა-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5350 | ბილბაო-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5351 | სევილია-სელტა | 1,65 | 1,95 |
| 22.00 | 5352 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 5353 | დეპორტივო-ვილარეალი | 1,65 | 1,95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | | |
| 16.30 | 5516 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5517 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5518 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5519 | ბოლტონი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5520 | ჩარლტონი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5521 | პორტსმუთი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5522 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5523 | ბაიერნი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5524 | ჰამბურგი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5525 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5526 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5527 | გლადბახი-ლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5528 | ბოხუმი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5529 | სიენა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5530 | იუვენტუსი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5531 | მურსია-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5532 | ოსასუნა-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5533 | ატლეტიკო-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5534 | ვალენსია-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **30 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 5535 | არსენალი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5536 | ლივერპული-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5537 | სიტი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 5538 | ჩელსი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5539 | ჰერტა-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5540 | ჰანზა-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5541 | მილანი-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5542 | პარმა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5543 | პერუჯა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5544 | რეჯინა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5545 | რომა-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5546 | სამპდორია-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5547 | ბრეშა-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5548 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5549 | მალიორკა-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5550 | ბილბაო-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5551 | სევილია-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 5552 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5553 | დეპორტივო-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | |
| 16.30 | 5416 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 2,3 | 1,65 |
| 19.00 | 5417 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5418 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 5419 | ბოლტონი-ევერტონი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 5420 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 5421 | პორტსმუთი-ლესტერი | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 5422 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,3 | 3,4 |
| 18.30 | 5423 | ბაიერნი-კიოლნი | 1,1 | 5,0 |
| 18.30 | 5424 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 5425 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,65 | 2,3 |
| 18.30 | 5426 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 5427 | გლადბახი-ლაუტერნი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 5428 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 21.00 | 5429 | სიენა-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 23.30 | 5430 | იუვენტუსი-ინტერი | 1,6 | 2,4 |
| 20.00 | 5431 | მურსია-სოსიედადი | 1,9 | 1,9 |
| 22.30 | 5432 | ოსასუნა-რეალი | 2,3 | 1,65 |
| 00.30 | 5433 | ატლეტიკო-მალაგა | 1,55 | 2,5 |
| 00.30 | 5434 | ვალენსია-სარაგოსა | 1,35 | 3,2 |
| | | **30 ნოემბერი** | | |
| 18.00 | 5435 | არსენალი-ფულემი | 1,25 | 3,7 |
| 19.00 | 5436 | ლივერპული-ბირმინგემი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 5437 | სიტი-მიდლსბრო | 1,65 | 2,3 |
| 20.05 | 5438 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,8 | 2,0 |
| 20.30 | 5439 | ჰერტა-შალკე | 1,8 | 2,0 |
| 20.30 | 5440 | ჰანზა-დორტმუნდი | 2,0 | 1,8 |
| 18.00 | 5441 | მილანი-მოდენა | 1,17 | 4,2 |
| 18.00 | 5442 | პარმა-კიევო | 1,55 | 2,5 |
| 18.00 | 5443 | პერუჯა-ემპოლი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 5444 | რეჯინა-ბოლონია | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 5445 | რომა-ლეჩე | 1,1 | 5,0 |
| 18.00 | 5446 | სამპდორია-ანკონა | 1,35 | 3,2 |
| 23.30 | 5447 | ბრეშა-უდინეზე | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5448 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,75 | 2,1 |
| 20.00 | 5449 | მალიორკა-ბეტისი | 1,75 | 2,1 |
| 20.00 | 5450 | ბილბაო-რასინგი | 1,65 | 2,3 |
| 20.00 | 5451 | სევილია-სელტა | 1,7 | 2,2 |
| 22.00 | 5452 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,3 | 3,4 |
| 24.00 | 5453 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,3 | 3,4 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | | |
| 16.30 | 5016 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 4,6 | 2,15 | 2,25 |
| 19.00 | 5017 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 2.7 | 2,05 | 3,6 |
| 19.00 | 5018 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 19.00 | 5019 | ბოლტონი-ევერტონი | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 19.00 | 5020 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,0 | 2,2 | 5,6 |
| 19.00 | 5021 | პორტსმუთი-ლესტერი | 2,2 | 2,15 | 4,8 |
| 18.30 | 5022 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,65 | 2,8 | 6,0 |
| 18.30 | 5023 | ბაიერნი-კიოლნი | 1.2 | 4,8 | 10,0 |
| 18.30 | 5024 | ჰამბურგი-ვერდერი | 3,1 | 2,1 | 3,1 |
| 18.30 | 5025 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,35 | 2,1 | 4,4 |
| 18.30 | 5026 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2,1 | 3,2 |
| 18.30 | 5027 | გლადბახი-ლაუტერნი | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 18.30 | 5028 | ბოხუმი-შტუტგარტი | 3.5 | 2,1 | 2,7 |
| 21.00 | 5029 | სიენა-ლაციო | 3.8 | 2,05 | 2.6 |
| 23.30 | 5030 | იუვენტუსი-ინტერი | 2,2 | 2,1 | 5,0 |
| 20.00 | 5031 | მურსია-სოსიედადი | 3.0 | 2.1 | 3.2 |
| 22.30 | 5032 | ოსასუნა-რეალი | 4,8 | 2,4 | 2,25 |
| 00.30 | 5033 | ატლეტიკო-მალაგა | 2.15 | 2.15 | 5.0 |
| 00.30 | 5034 | ვალენსია-სარაგოსა | 1.7 | 2.5 | 6,0 |
| | | **30 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 5035 | არსენალი-ფულემი | 1.6 | 2.9 | 6.5 |
| 19.00 | 5036 | ლივერპული-ბირმინგემი | 1,95 | 2,25 | 5,6 |
| 19.00 | 5037 | სიტი-მიდლსბრო | 2,25 | 2,1 | 4,8 |
| 20.05 | 5038 | ჩელსი-მანჩესტერი | 2.8 | 2,1 | 3.4 |
| 20.30 | 5039 | ჰერტა-შალკე | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 20.30 | 5040 | ჰანზა-დორტმუნდი | 3.5 | 2,1 | 2,7 |
| 18.00 | 5041 | მილანი-მოდენა | 1.35 | 3.6 | 8,0 |
| 18.00 | 5042 | პარმა-კიევო | 2.2 | 2.1 | 5.0 |
| 18.00 | 5043 | პერუჯა-ემპოლი | 2,25 | 2.05 | 5.0 |
| 18.00 | 5044 | რეჯინა-ბოლონია | 2.45 | 2.05 | 4.2 |
| 18.00 | 5045 | რომა-ლეჩე | 1.25 | 4.4 | 9.0 |
| 18.00 | 5046 | სამპდორია-ანკონა | 1,75 | 2.45 | 5.6 |
| 23.30 | 5047 | ბრეშა-უდინეზე | 2.8 | 2.05 | 3.5 |
| 20.00 | 5048 | ალბასეტე-ესპანიოლი | 2.5 | 2.1 | 3.8 |
| 20.00 | 5049 | მალიორკა-ბეტისი | 2.5 | 2.1 | 3.8 |
| 20.00 | 5050 | ბილბაო-რასინგი | 2.3 | 2.1 | 4,6 |
| 20.00 | 5051 | სევილია-სელტა | 2.45 | 2.05 | 4.2 |
| 22.00 | 5052 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,7 | 2.5 | 6,0 |
| 24.00 | 5053 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,75 | 2.45 | 5.6 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.11 16.30 | 5601 | ინგლისი პლ (XIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 29.11 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 29.11 21.00 | 5603 | იტალია A (XI) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 29.11 20.00 | 5604 | ესპანეთი Iლ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 29.11 20.15 | 5605 | საფრანგეთი Iლ (XV) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 29.11 23.00 | 5607 | ბელგია Iლ (XIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 5116 | ვულვერჰემპ.-ნიუკასლი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 19.00 | 5117 | ასტონ ვილა-საუთჰემპ. | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5118 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 5119 | ბოლტონი-ევერტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 5120 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 5121 | პორტსმუთი-ლესტერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 5122 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 5123 | ბაიერნი-კიოლნი | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,6 | 7,0 | 25,0 | 30,0 | 22,0 | 22,0 |
| 18.30 | 5124 | ჰამბურგი-ვერდერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 5125 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 5126 | აინტრახტი-ვოლფსბ. | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 5127 | მ.გლადბახი-კ.ლაუტერნი3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 | |
| 18.30 | 5128 | ბოხუმი-შტუტგარტი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 21.00 | 5129 | სიენა-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.30 | 5130 | იუვენტუსი-ინტერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 5131 | მურსია-სოსიედადი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 22.30 | 5132 | ოსასუნა-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 00.30 | 5133 | ატლეტიკო-მალაგა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 5134 | ვალენსია-სარაგოსა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5135 | არსენალი-ფულემი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 5136 | ლივერპული-ბირმინგემი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 5137 | სიტი-მიდლსბრო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.05 | 5138 | ჩელსი-მანჩესტერი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.30 | 5139 | ჰერტა-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 20.30 | 5140 | ჰანზა-დორტმუნდი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.00 | 5141 | მილანი-მოდენა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5142 | პარმა-კიევო | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 5143 | პერუჯა-ემპოლი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5144 | რეჯინა-ბოლონია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 5145 | რომა-ლეჩე | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 6,5 | 22,0 | 30,0 | 22,0 | 22,0 |
| 18.00 | 5146 | სამპდორია-ანკონა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 23.30 | 5147 | ბრეშა-უდინეზე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 20.00 | 5148 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 5149 | მალიორკა-ბეტისი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 5150 | ბილბაო-რასინგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 5151 | სევილია-სელტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 22.00 | 5152 | ბარსელონა-ვალიადოლ. | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 24.00 | 5153 | დეპორტივო-ვილიარ. | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | |
| 16.30 | 5216 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5217 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5218 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5219 | ბოლტონი-ევერტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5220 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5221 | პორტსმუთი-ლესტერი | 1,8 | 1,8 |
| 18.30 | 5222 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 5223 | ბაიერნი-კიოლნი | 2,2 | 1,5 |
| 18.30 | 5224 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5225 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 5226 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5227 | გლადბახი-ლაუტერნი | 21,95 | 1,65 |
| 18.30 | 5228 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,0 | 1,6 |
| 21.00 | 5229 | სიენა-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 5230 | იუვენტუსი-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5231 | მურსია-სოსიედადი | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 5232 | ოსასუნა-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 00.30 | 5233 | ატლეტიკო-მალაგა | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 5234 | ვალენსია-სარაგოსა | 1,9 | 1,7 |
| | | **30 ნოემბერი** | | |
| 18.00 | 5235 | არსენალი-ფულემი | 2,1 | 1,55 |
| 19.00 | 5236 | ლივერპული-ბირმინგემი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 5237 | სიტი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 5238 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 5239 | ჰერტა-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 5240 | ჰანზა-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5241 | მილანი-მოდენა | 2,1 | 1,55 |
| 18.00 | 5242 | პარმა-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5243 | პერუჯა-ემპოლი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5244 | რეჯინა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5245 | რომა-ლეჩე | 2,3 | 1,45 |
| 18.00 | 5246 | სამპდორია-ანკონა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 5247 | ბრეშა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5248 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5249 | მალიორკა-ბეტისი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 5250 | ბილბაო-რასინგი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 5251 | სევილია-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 5252 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 2,0 | 1,6 |
| 24.00 | 5253 | დეპორტივო-ვილიარეალი | 2,0 | 1,6 |

## საქართველოს ჩემპიონატი

28 ნოემბერი. ვერის ბაღი

**სსუ 78:89 მაკაბი**

17:23, 21:16, 23:24, 17:26

სსუ: კანკია (11), სორდია (29), ზანგურაშვილი (1), ერქვანია (15), აბულაძე (20); პატარაია, ფარღალავა, ქვილითაია (2), ონიკაშვილი, ცუკავა

მაკაბი: ნინოშვილი (21), წოწელია (13), ოთიურიძე (5), ვაშაკიძე (26), სუხიშვილი (17); პეტრენავა, ფირცხელაური, კონჯარია (7)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**დინამო 83:71 ქუთაისი**

18:20, 22:17, 19:16, 24:18

დინამო: ფლენტი (5), ბეჟანიშვილი (9), ი. ხოშტარია (4), ჯამყრელიძე (10), ტულუში (2), ლოსაბერიძე (10), მინაშვილი (18), კეიდია (4), ჩუბინიძე (11), მუშკუდიანი (10)

ქუთაისი: აკოლაშვილი (9), ცერცვაძე (9), ნ. შანიძე (15), კოლუაშვილი (6), ნიჟარაძე (10), შავლაყაძე, პირტახია (8), ბადრიძე (14)

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

# ჩარაზვამ იგმარა სოხუმელები არ შეუშვეს

**საქართველოს** ჩემპიონატი ორადაა გაყოფილი — ძლიერ და სუსტ გუნდებად. ეს არცაა გასაკვირი, ტურნირი ხომ იმისაა, რომ ერთმა მოიგოს, მეორემ კი წააგოს. თუმც ჩვენში ისეთი გუნდები არსებობენ, რომლებიც ვერასდროს მოუგებენ ძლიერებს, ისინი თავისნაირთან შეხვედრამდე დღეებს ითვლიან, რათა გაუთავებელი წაგებების შემდეგ როგორმე გამარჯვებაც გასინჯონ.

გუშინ სწორედ მოგებასდანატრებული გუნდების მატჩი გაიმართა ვერის ბაღში, რომელსაც მოჰყვა შედეგგაშიფრული „დინამო" — „ქუთაისი". ამ მეორე წყვილმა ასე მატჩი რომ გამართოს, გამარჯვებული სულ „დინამო" გამოვა, ჩვენც არ გვინდა, ამ მომაბეზრებელ თამაშს ჩავეძიოთ, „სუსტების რკენას", სსუ — „მაკაბის" მივუბრუნდეთ.

სოხუმელებმა მეტოქეს ფარქვეშიდან შეუტიეს — ტანმაღალი დავით ერქვანია და ვანო აბულაძე სამწამიანში ლამობდნენ გაბატონებას. „მაკაბიმ" კი თავი არ შეაკლა სოხუმელ მეფარეებს და უკანახაზელთა სიჩუბინის იმედად იყო საწყის წუთებში. სოსო ნინოშვილის ორმა სამქულიანმა „მაკაბი" მეტოქეს მოსწყვიტა და თანაგუნდელს გივი ვაშაკიძემაც რომ აუბა მხარი, სსუ 11:19 ჩამორჩა.

მეორე მეოთხედი მაკაბელთა 6-ქულიანი უპირატესობით განახლდა და წოწელიას ჩუბინობის წყალობით სხვაობა უმალ ცხრამდე გაიზარდა. სოხუმელებმა თავი ანებეს ფარქვეშ ვაინაჩრობას და მეტოქის ფარზე სამქულიანებით გაილაშქრეს. ირაკლი სორდიამ ორი სამქულიანი ჩააგდო, თემურ კანკიამაც გაისროლა ერთი და ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 29:29.

სწორედ აქ დაიწყო თანაბარი თამაში, რომელმაც ბოლო მეოთხედის საწყის წუთებამდე გასტანა, სანამ მაკაბელები საიმედოდ არ გადარაზავდნენ პერიმეტრს სოხუმელთა სამქულიანების აღსაკვეთად. მაკაბელებმა მესამე მეოთხედში ერთი ხანობა კონტრშეტევებზე წამოაგეს მეტოქე და 11 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ სოხუმელმა სორდიამ სამქულიანების სეტყვა დაატეხა თბილისელებს.

რაც კი ისროლა სორდიამ, ყველა ჩააგდო და მაკაბელები აიძულა, მასზე ნადირობა გამოეცხადებინათ. ბოლო მეოთხედის ახალდა-



მურაზ ფოლადიშვილის ფოტო

სსუ-ელმა ვანო აბულაძემ ფარქვეშ ბევრი იღრიალა, მაგრამ თავისიანები ვერ იხსნა

წყებულზე სსუ 3 ქულით გალიდერდა და სოხუმელი სნაიპერის ბოგინი თუ არ აღიკვეთებოდა, „მაკაბის" უეჭველი წაგება ელოდა.

ჯაჰლეთ ხუხაშვილის გუნდმა მთელი გულისყური პერიმეტრზე გადაიტანა და ისე გადარაზა 6-მეტრიანი ხაზი, მისი გარღვევა სააკაშვილის მომხრე მომიტინგეებსაც კი გაუძნელდებოდათ. სორდიას სამქულიანებმა ჩაილურის წყალი დალია. „მაკაბის" ხელ-ფეხი გაეხსნა, ნინოშვილმა, წოწელიამ და ვაშაკიძემ ორწუთიანი ელეთმელეთი მოუწყვეს სოხუმელებს. „მაკაბიმ" კი დროის ეს მონაკვეთი 11:0 მოიგო, მატჩის დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე 10-ქულიანი ლიდერობა დაიბევა და ყველაფერიც აქ გაირკვა.

**ირაკლი პერტაია**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 1 | +218 | 19 |
| ბასკო | 10 | 8 | 2 | +284 | 18 |
| თსუ | 10 | 8 | 2 | +107 | 18 |
| სტუ | 9 | 6 | 3 | +160 | 15 |
| რუსთავი | 10 | 5 | 5 | +15 | 15 |
| სსუ | 12 | 2 | 10 | -220 | 14 |
| მაკაბი | 9 | 3 | 6 | -65 | 12 |
| ქუთაისი | 12 | 0 | 12 | -402 | 12 |

## ევროლიგა

Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 26-27 ნოემბერი

# ბოისა ბოდიროგას დაეზოშა

**თუ ევროლიგაში** ჩვენებურს სიტყვა ეთქმის, პირველ რიგში ვლადიმერ ბოისას. ვოვას არაერთხელ უყოჩაღია ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში, მაგრამ გუშინწინდელი დღე მაინც გამორჩეული იქნება მის კარიერაში.

„ოლიმპია" ჩემპიონ „ბარსელონას" მასპინძლობდა თავისი დეიან ბოდიროგათი. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ბოდიროგა გუშინწინ ბოისას მეურვეობდა და თუ სტატისტიკური მაჩვენებლებით განვსჯით, თითქმის ვერაფერში აჯობა.

ბოისამ და ბოდიროგამ 32-32 წუთი დაყვეს მოედანზე. დიდმა სერბმა მხოლოდ შედეგიან გადაცემებითა და ერთადერთი მოხსნით აჯობა ჩვენებურს. ბოისამ ქულებით ხომ გადაუსწრო მას და სროლათა პროცენტული მაჩვენებელიც უკეთესი ჰქონდა.

ბოისა მატჩის ბომბარდირი გახდა 18 ქულით. ამ მაჩვენებლებით მან აჯობა ბოდიროგას, ფუჩკას, ნავაროს, ფემერლინგს... გავაგრძელოთ? მგონი, საკმარისია.

ვოვა მართლაც საუკეთესო იყო, მაგრამ მის გარჯას „ოლიმპიას" წაგება აფერმკრთალებს. ლიუბლიანელებს რომ მოეგოთ, ბოისა უთუოდ მატჩის გმირი გახდებოდა, ახლა კი მხოლოდ ბომბარდირია.

არადა, „ოლიმპიას" რეალურად შეეძლო მოგება. დებიუტშივე დაწინაურებული კატალონიელები მთელი თამაშის განმავლობაში იგებდნენ და სოლიდურადაც, მაგრამ როცა „ოლიმპია" ლიუბლიანაში თამაშობს, არც ისე იოლია მისი დამარცხება. ბოისასა და ბაზდარიჩის მეოხებით „ოლიმპია" საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე 3 ქულით მიუახლოვდა „ბარსელონას", მაგრამ საბოლოო წარმატების მისაღწევად ძალა აღარ ეყო.

რაც შეეხება მანუჩარ მარკოიშვილსა და გიორგი მდივანს, ისინი თავიანთი კლუბების განაცხადებშიც კი არ იყვნენ.

**ირაკლი პერტაია**

### A ჯგუფი

**ოლიმპია 63:69 ბარსელონა**

ოლიმპია: ბოისა (32 წუთი, 18 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)

ბარსელონა: ბოდიროგა (15)

**აეკ 71:83 პო ორტეზი**

აეკ: ჯენკინსი (29)

პო ორტეზი: ფორესტი (24)

**პარტიზანი 93:81 ციბონა**

პარტიზანი: ჰაუსი (39)

ციბონა: გოლემაცი (18)

**ულქერი 67:63 რომა**

ულქერი: ბლერი (17 ქულა, 15 მოხსნა)

რომა: ტონოლი (21 ქულა, 12 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 4 | 0 | +29 | 8 |
| პარტიზანი | 4 | 3 | 1 | +33 | 7 |
| ულქერი | 4 | 3 | 1 | +10 | 7 |
| ოლიმპია | 4 | 2 | 2 | -11 | 6 |
| ციბონა | 4 | 2 | 2 | -23 | 6 |
| პო ორტეზი | 4 | 1 | 3 | +5 | 5 |
| აეკ | 4 | 1 | 3 | -21 | 5 |
| რომა | 4 | 0 | 4 | -22 | 4 |

### B ჯგუფი

**უნიკახა 72:74 ჟალგირისი**

უნიკახა: ჰერმანი (16), ლუისი (16)

ჟალგირისი: ბერდი (18), საბონისი (14)

**კრკა 86:74 სიენა**

კრკა: დუშაკი (21)

სიენა: ტორნტონი (14)

**სკიპერი 104:111 მაკაბი**

*ძირითადი დრო 95:95*

სკიპერი: დელფინო (21), ვუიანიჩი (17)

მაკაბი: პარკერი (21), ბასტონი (19)

**პანათინაიკოსი 58:69 ცსკა**

პანათინაიკოსი: მიდლტონი (11)

ცსკა: ბრაუნი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 4 | 0 | +81 | 8 |
| მაკაბი | 4 | 4 | 0 | +48 | 8 |
| ჟალგირისი | 4 | 3 | 1 | +10 | 7 |
| სიენა | 4 | 2 | 2 | -8 | 6 |
| სკიპერი | 4 | 1 | 3 | -17 | 5 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 3 | -28 | 5 |
| კრკა | 4 | 1 | 3 | -57 | 5 |
| უნიკახა | 4 | 0 | 4 | -29 | 4 |

### C ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 57:69 ეფესი**

ოლიმპიაკოსი: დიამანტოპულოსი (12)

ეფესი: გრანგერი (14)

**შლიონსკი 85:88 პამესა**

შლიონსკი: გრირი (28), ვოიჩიკი (21)

პამესა: ობერტო (21), რიგოდო (19)

**ალბა 95:89 ტაუ**

ალბა: პეტროვიჩი (28), კოლინზი (21)

ტაუ: ნოჩიონი (24), მასიაუსკასი (22)

**ბენეტონი 80:59 ვილერბანი**

ბენეტონი: ევანსი (14), სლოკარი (14)

ვილერბანი: როჯერსი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 4 | 4 | 0 | +51 | 8 |
| ეფესი | 4 | 3 | 1 | +30 | 8 |
| შლიონსკი | 4 | 3 | 1 | +25 | 7 |
| ტაუ | 4 | 2 | 2 | +12 | 6 |
| ბენეტონი | 4 | 2 | 2 | 0 | 6 |
| ალბა | 4 | 1 | 3 | -25 | 5 |
| ვილერბანი | 4 | 1 | 3 | -56 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 0 | 4 | -37 | 4 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ის ქვეყანა უზრდელებისაა

## მეტი აგრესია, ხალხს ეს მოსწონს

27 ნოემბერი

**ინდიანა 93:70 ნიუ იორკი**

ინდიანა: ონილი (27 ქულა, 11 მოხსნა), არტესტი (21)

ნიუ იორკი: ტომასი (12), უილიამსი (11)

**კლიპერსი 96:102 ნიუ ჯერსი**

კლიპერსი: მეჯიტი (20), რიჩარდსონი (17), უილკოქსი (15)

ნიუ ჯერსი: კიტლზი (22), კიდი (18 ქულა, 10 პასი)

„ინდიანა პეისერზისთვის" აღმოსავლეთის მხსნელის იარლიყის მიკერება ადრეულად არ ეჩვენებათ დასავლელთაგან ჩაგრულ აღმოსავლელებს. სეზონი, ჰა, ჰა, დაიწყო და ლარი ბერდის და რიკ კარლაილის ხელდასმულები ჯერ ყველას სჯობიან. პრეტენზიული აღმოსავლელებისთვის — „ნიუ ჯერსისა" თუ „დეტროიტისთვის" „ინდიანა" ახალი კონკურენტი და თითში ხიჭვია, მაგრამ ზოგადად ჩაგრული აღმოსავლეთი „პეისერზის" მიმართ აშკარად სიმპათიით განიმსჭვალა.

„ინდიანა" დასავლელებთანაც ყოჩაღობს, ახლა კი თანაკონფერენციელი და ოდესღაც სასიხლოდ გადაკიდებული „ნიუ იორკი" შემოემარცხა. სტუმრები თავიდანვე მონუსხა ინდიანელი ფორვარდების რონ არტესტისა და ჯერმენ ონილის სათამაშო აგრესიამ, არც სხვები იყვნენ მამა აბრამის ბატკნები და სანამ „ნიქსი" რამეს ილონებდა, „ინდიანამ" საქმეც მოითავა — პირველ ტაიმში 12 ქულით გაექცა სტუმრებს, ხოლო მესამე მეოთხედის შემდეგ 19-ით. არტესტმა და ონილმა ამ მეოთხედის ერთ ეპიზოდში 18:2 დახვრიტეს სტუმრები და „ნიუ იორკის" მწვრთნელ დონ ჩეინის უილაჯოდ აღამართინეს ხელები, ესენი ვინ ყოფილანო.

„ეს უზრდელი ბიჭები თანდათან ჩვენი ლიგის მთავარი ვარსკვლავები ხდებიან. თუ ამათი ძლევა გინდა, სრულყოფილი კალათბურთი უნდა ითამაშო" — ღაღადებს დონ ჩეინი.

თავისი წილი თამაში მოიგო აღმოსავლეთის შარშანდელმა და შარშანწინდელმა ყოჩმა „ნიუ ჯერსიმ". ალონზო მურნინგის დაკარგვის და მილიონების გაფანტვის შემდეგ ჯერაც აზრზე მოუსვლელ „ნეთსს" გვარიანი ჯაფა დაადგა ლოს ანჯელესში იქაურ „კლიპერსთან", მწვრთნელმა ბაირონ სკოტმაც ბევრი ინერვიულა და მსაჯთან კამათში ტექნიკურიც გამოიმუშავა. თუმც აღმოსავლელებმა მტრული დასავლეთი სანაპიროდან მაინც გამარჯვება წამოიღეს და როგორც იქნა, გაათანაბრეს მოგება-წაგებების ბალანსი — შვიდი გამარჯვება ამდენივე მარცხის წილ.

**კოტე ყორშია**



თამაში ასე უნდა: ინდიანელმა რონ არტესტმა „ნიუ იორკი" მიწაზე დატოვა




ლეიტონ ჰიუიტი მართლა დაბრუნდა

## დევისის თასი. ფინალი მელბურნი

# ფრანკო საფლავში გადატრიალდებოდა

## ოზებმა ესპანელებს ყური მოკვეთეს

**ავსტრალია 1:1 ესპანეთი**

პარასკევი. 27 ნოემბერი

**ლეიტონ ჰიუიტი** — ხუან კარლოს ფერერო 3:6, 6:3, 3:6, 7:6 (7:0), 6:2

მარკ ფილიპუსისი — **კარლოს მოია** 4:6, 4:6, 6:4, 6:7 (4:7)

**დევისფინალის** პირველი დღე მოსალოდნელზე უფრო დაძაბული გამოდგა. ჯიშად მეთიხნარე ესპანელებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო უშინაურდებიან დანარჩენ საფრებსაც, ბალახთან გაჩვეულ მასპინძლებს თანაბარი ბრძოლა გაუჩალეს და 1:1-საც გამორჩნენ.

მსოფლიოს ოდინდელ პირველოსანს, უჯიგრო სეზონის გამო მე-18 ადგილამდე ჩაშვებულ ლეიტონ ჰიუიტს მთელი მისი ლეგენდარული შეუპოვრობის მოხმობა დასჭირდა უბასრესი ესპანელის, წლევანდელი როლან გაროსის ჩემპიონისა და აშშ-ის წლევანდელივე ღია პირველობის ფინალისტ ხუან კარლოს ფერეროს მოსადრეკად.

კარლოს მოიამ კი, ვისაც გუშინდლამდე ბალახზე მხოლოდ ცხრა მატჩი მოეგო და ამ საფარს 2002 წლის ივნისის მერე არ გაჰკარებოდა, უიმბლდონის წლევანდელ ფინალისტს, უზორბესი მოწოდების მქონე მარკ ფილიპუსისს სულაც აჯობა.

თუმცა ერთი საინტერესო ამბავი საკუთრივ შეხლათა დაწყებამდე მოხდა და, ვგონებ, ჯერ მასზე საუბარი ხამდეს.

რა იყო და მასპინძლებს ის დისკები აერიათ, რომლებზეც ესპანეთის ჰიმნები ეწერა. შედეგად — გახსნის ცერემონიალზე სამეფოს ამჟამინდელი ჰიმნის ნაცვლად მე-19 საუკუნეში შექმნილი, ესპანეთში სამოქალაქო ომამდე არსებული და ფრანკოს მიერ გაუქმებული ჰიმნი დაუკრეს.

სტუმართა დელეგაციამ მასპინძელთა ამგვარი დაბდურობა შეურაცხყოფად მიიღო. მათმა სპორტის მინისტრმა ანტონიო გომეს-ანგულომ როდ ლეივერის სახელობის არენა მყისვე დატოვა და განაცხადა, რომ ოზთა ოფიციალურ მობოდიშებამდე არც ის და არც გუნდი კორტზე არ დაბრუნდებოდა.

მასპინძლებმა, ცხადია, მოიბოდიშეს და სიტყვებით ჩახჩახუხს ბარაქიანი ჩოგნაობა ჩაენაცვლა, მაგრამ სენიორ გომეს-ანგულო ამბობს, რომ ამ ამბავს ასე მაინც არ დატოვებს და მას ძირისძირამდე ჩაჰყვება. ივარაუდება, რომ ამ გაუგებრობის მიზეზებში გარკვევას მოგვიანებით იქ ესპანეთის საელჩო ეცდება...

მატჩებამდე ადუღებულ ვნებათაღელვას ზედ 30-გრადუსიანი მელბურნული სიცხეც დაერთო და კორტზე პირველ წყვილად გასული ჰიუიტი და ფერერო ერთმანეთს უმოწყალოდ დაერივნენ.

პირველი სეტების განმავლობაში უფრო დინჯად, სტაბილურად მოჩოგნავე სტუმრის საერთო უპირატესობა აშკარა იყო. მაგრამ მერე და მერე კისკასი ოზბიჭი აიჯაგრა და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ უხეირო სეზონის გამო ზეპური ამქრიდან მისი ამოწერა არ ეგების.

ჰიუიტი შლეგიანივით დარბოდა კორტის ერთი კუთხიდან მეორისკენ და მეოთხე სეტის მიწურულს მატჩის გარდატეხაც მოახერხა — ტაიბრეიკი მშრალად, 7:0 მოიგო.

ტაიბრეიკზე ეგრე ვაგლახად ჩაფლავებამა და ზედაც მეტოქის გაუბზარაობამ თავად ფერერო გაბზარა და გადამწყვეტი სეტი მან თითქმის უკვე უბრძოლველად დათმო.

ამ ფინალისთვის ჰიუიტი ბოლო ორი თვის განმავლობაში ემზადებოდა — საამისოდ მან ჰიუსტონის მასტერსთასისთვის ბრძოლაც კი იუარა და მთელ ფსონს სწორედ ესპანელებთან გამარჯვებაზე ჩავიდა. ჰოდა, ამიტომაც იყო, ფერეროს წინაალმდეგ ასე მგელივით სახეგადალესილი რომ ფარიკაობდა.

ამ მატჩმა ყველას ორიოდ თვის წინ დევისისავე ნახევარფინალში ჰიუიტის მიერ როჯერ ფედერერთან მოგებული შეხლა გაახსენა, სადაც ჭაბუკი ოზი სულაც ორი სეტით აგებდა.

ლეიტონის მოგების შემდეგ ავსტრალიელნი შეიმედნენ, რაკილა ფილიპუსისგან მოიას ძლევა ამაზე უფრო უეჭველი რამ ეგონათ.

მაგრამ ყველაფერი პირიქით კი მოხდა — ძალზედ მონერვიულესკადს არც ყუმბარისებური მოწოდება წაუვიდა, არც სხვა რამ და პირველი ორი სეტი ისე ბითურად დათმო, რომ საქმეს ველარაფერი ეშველებოდა.

ვერც ეშველა, თუმცა მომდევნო სეტებში ოზმა შესამჩნევად უმატა, ესპანელმა კი ასევე შესამჩნევად უკლო.

მეოთხე სეტი რომ მოეგო, შესაძლოა, ყველაფერი მომხდარიყო, იძახდა ნამატჩევს მოია. ფილიპუსისი კი შეფიქრიანებულ ქომაგებს ამშვიდებდა, კვირას სულ სხვანაირად ვითამაშებ და თქვენ დაუკარითო.

შეგახსენებთ, რომ დღეს უეინ ართურსისა და ტოდ ვუდბრიჯის ჯუფთი ალექს კორეჩასა და ფელისიანო ლოპესის წყვილს შეერკინება, მთავარი ამბები კი ხვალ უნდა მოხდეს, როცა ჯერ ფილიპუსისი და ფერერო, მერე კი ჰიუიტი და მოია იპაექრებენ.

**ლევან ქელაურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალიელებმა პირდაპირ გააცოფეს ესპანეთის სპორტის მინისტრი ანტონიო გომეს-ანგულო





რუდი სტრაული

*ნამსოფლიოსთასარი მწვრთნელებიდან ბორჯღალოსანთა ფრანგი გურუ კლოდ სორელი ერთადერთი არ აღმოჩნდა, ვისაც თავისივე მოთამაშეები აუჯანყდნენ.*

*სამხრეთაფრიკელთა მოძღვარ რუდი სტრაულის ახლა რამდენიმე ბრალდების და ბრალმდებლის მოგერიება მოუწევს. თუ თავდაცვაშიც ვერ ივარგა და კეპის დახურვა და სახლში წასვლაღა დარჩენია (ამბობენ, ხელშეუხებლობის გარანტიითო)*

# კმარა, რუდი!

## სტრაულიმ შავები გამოყო და თავი შარში გაყო

**სტრაულის** წინააღმდეგ სამხრეთაფრიკელთა გარემარბმა ბრეიტონ პოლსემ აიმაღლა ხმა და ორი ძირითადი ბრალდება წაუყენა: პირველი — რასიზმი, მეორე — სადიზმი.

რასიზმით დავიწყოთ. პოლსე ამბობს, რომ სტრაული მოთამაშეებს კანის ფერის მიხედვით არჩევდა. თუ შავი და თეთრი მოთამაშე ერთი დონისა იყვნენ, რუდი არჩევანს თეთრკანიანის სასარგებლოდ აკეთებდა და საერთოდაც შავკანიანებს გერებივით ეპყრობოდა. პოლსე — „რუდიმ იმდენი ქნა, ლამის ერთმანეთზე გადაგვკიდა. კიდევ კარგი, ბიჭები არ ავყევით და მუშტი-კრივი არ გავმართეთ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ გვათამაშა შავკანიანები. ერთადერთი, ვისაც მწვრთნელი ცოტათი სწყალობდა, ეშვინ ვილემსე იყო და ისიც იმიტომ, რომ სხვა გზა არ ჰქონდა."

მეოთხედფინალში ახალ ზელანდიასთან სამატჩო განაცხადში ვილემსე ერთადერთი შავკანიანი მორაგბე იყო. პოლსემ ეს ყველაფერი სამხრეთაფრიკულ გამოცემა „სთარს" უთხრა, „სთარი" კი რასიზმთან შეურიგებელი ბრძოლით არის ცნობილი. ისევ პოლსე — „სტრაული რასისტია. ამას ხმამაღლა ვამბობ და ჩემს სიტყვებს უკან არ წავიღებ. სადაც გინდათ, იქ დავამტკიცებ, რომ მწვრთნელი კანის ფერის მიხედვით არჩევდა მოთამაშეებს. ამით იგი ჩვენს შორის შუღლს აღვივებდა."

პოლსე მხოლოდ რასიზმის თემით როდი შემოიფარგლა. „ქურციკთა" გარემარბმა სტრაული სადიზმშიც ამხილა — „თქვენ არ იცით, რა ხდებოდა მსოფლიოს თასის წინ. მოსამზადებლად პრეტორიასთან საწვრთნელ ბანაკ „კემპ სტრაალდრიდში" წაგვიყვანეს. თავი ფაშისტების კონცლაგერში მეგონა, სადაც ყველანაირი დამცირება და არაადამიანური მოპყრობა ჩვეულებრივი ამბავია. სტრაული გვაიძულებდა, ტრუსების ამარა ტბაში ჩავსულიყავით და გაყინულ, ყელამდე წყალში რაგბის ბურთი პირით გვებერა. ამით ვითომ ფილტვებს გვიკაჟებდა. ამაზე მეტი სადიზმი გინახავთ?" პოლსი კიდევ ამბობს, რომ სტრაულიმ გუნდში „დედოვშინა" დაამყარა და ნაკრების ყოველი შეკრება სამხედრო ნაწილს მოგაგონებდათ.

პოლსეს ნაამბობმა რასიზმთან მებრძოლი აქტივისტები და სრულიად სამხრეთ აფრიკა შეძრა და იმათი რაგბის კავშირის უფროსობასაც კომენტარის გაკეთება დასჭირდა.

აი, რა განაცხადა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის დირექტორმა რაიან ობერხოზერმა — „პრეტორიას შეკრების ამბებმა ჩვენ ყურამდეც მოაღწია. ვიცით, რომ სტრაულიმ უფლებებს გადაამეტა და მორაგბეებს ძალიან რთულ პირობებში თავისი მეთოდებით ავარჯიშებდა. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდით, ორივე მხარეს უნდა მოვუსმინოთ. სტრაულიმ თავისი თქვას, მოთამაშეებმა — თავისი. ამის შემდეგ საქმეს ბოლომდე მოეფინება ნათელი და ჩვენც გვეცოდინება, როგორ მოვიქცეთ."

კავშირის თავმჯდომარე და უპირველესი პირი, სხვათა შორის შავკანიანი სილასი ნკანუნუ კი სტრაულისგან ჯერ წერილობით ახსნა-განმარტებას, შემდეგ კი მისი მართლბულობის დამტკიცებას კავშირის დირექტორთა კრებაზე ითხოვს — „სტრაულიმ ჯერ ჩამოწეროს ნაკრების მზადების მისეული შეფასება, დეტალურად ახსნას, როგორ პირობებში ჰყავდა მოთამაშეები და შემდეგ დაასაბუთოს თავისი სიმართლე. წინააღმდეგ შემთხვევაში მწვრთნელობიდან მოვხსნით, და შესაძლოა, მწვრთნელის ლიცენზიაც ჩამოვართვათ."

სტრაული „ტრიბუნალზე" 4 დეკემბერს უნდა წარსდგეს.



ბრეიტონ პოლსე

**ბაჩო სვანიძე**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!**

2003 წლის 2 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

*დასაწყისი 16 საათზე*

სსჟა-ს აღმასკომი



# მშვიდად იცხოვრეთ ...ციხეში

## ოლიმპიურ სოფელს ჩინებულ კედელს შემოარტყამენ

**ათენის** ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი სპორტსმენთა საცხოვრებელ სოფელს ციხედ გადაქცევას უპირებს. უსაფრთხოების გარანტიები იქ დღითი დღე მყარდება და თუ ასევე გაგრძელდა, მალე ამ სისტემაში დასაქმებულთა დიდი ნაწილი ეგებ უსაქმოდაც დარჩეს.

ამ დღეებში საბერძნეთის დედაქალაქში ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტები შეიკრიბნენ და ოლიმპიური სოფლის შემოღობვა გადაწყვიტეს. შემოღობვაცაა და შემოღობვაც, 17 ათასამდე სპორტსმენი და მწვრთნელი გარესამყაროსგან რკინაბეტონის გრანდიოზული ორმაგი კედლით იქნება დაცული და მათ არათუ გულშემატკივართა ხმაური, ჩიტის ჭიკჭიკიც არ შეაწუხებთ.

პროექტორებმა კედლის მაკეტი უკვე დაამზადეს. მათი მტკიცებით, წინაღობის გარღვევა მძიმე საბრძოლო ტექნიკასაც გაუჭირდება, თუმცა რკინაბეტონამდე მიღწევაც შეუძლებელი იქნება. სოფლის გარშემო ათასობით ფარული კამერა და სპეციალური რენტგენის აპარატები დამონტაჟდება, რომლებიც ამ ცხრაკლიტურში შემოსასვლელ ავტომობილებს გააშუქებს.

კედლის აშენების შემდეგ სპორტული ობიექტები და მათი მიმდებარე ტერიტორია რამდენიმე დღით გამნალმველთა დანაყოფების კონტროლქვეშ გადავა და მათ მიერ დეტალურად შემოწმდება, მავანმა ბოროტმა მუშამ ასაფეთქებელი მოწყობილობა აქედანვე რომ არ დაამონტაჟოს.

ასე რომ, მშვიდად იყავით ოლიმპიელებო. ამ მშენებლობის ხარჯის ჩათვლით, ორგანიზატორებმა ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებაზე ზრუნვაზე უკვე 650 მილიონი ევრო დახარჯეს.



# მუქთახორები

*ჰოკეის ეროვნული ლიგა კრიზისშია და მომავალ წელს ლოკაუტი ემუქრება. ლიგის მესვეურები ამის მიზეზად მოთამაშეთა ხელფასების გაუმართლებელ და გაუაზრებელ ზრდას ასახელებენ. „აბა, ნახეთ, როგორ თამაშობს. განა ღირსია ეს ვითომ ვარსკვლავი, ამდენი ფული მოიხვეჭოს?“ — კითხულობს მავანი ნჰლ-ელი ჩინოვნიკი. თან ეს ის შემთხვევაა, როცა ჩინოვნიკებს ქომაგებიც ეთანხმებიან. გაეცანით ამ სიას და დაეთანხმებით თუ არა ზემოთ მოყვანილ აზრს, თქვენი გადასაწყვეტია*

**1. იარომირ იაგრი** (*ვაშინგტონი*)

წლიური ხელფასი 11 000 000 დოლარი

22 თამაში 21 (8+13) ქულა

იაგრზე იმდენი ითქვა, გამეორებას აზრი აღარა აქვს. ფაქტი ერთია — „ვაშინგტონს“ რაც შეიძლება, მალე უნდა გაეცალოს. უნდა გაიცვალოს ისეთ გუნდში, სადაც მწვრთნელი ავტორიტეტით სარგებლობს, თორემ თუ იქაც თავკაცის კრიტიკას გადაჰყვა, ჰოკეი საერთოდ დაავიწყდება.

**2. პიერ ტარჯონი** (*დალასი*)

წლიური ხელფასი 7 500 000 დოლარი

20 თამაში 6 (1+5) ქულა

იაგრი ქულებს მაინც აგროვებს, აი, 90-იანი წლების გამოჩენილი პლეიმეიკერი კი ამასაც ვერ ახერხებს. ზაფხულში „დალასს“ მისი გაცვლა ეწადა, მაგრამ მსურველი არ გამოუჩნდა. ბოლოს საფარკლუბოდ ვერ გაიმეტეს და დაიტოვეს...

**3. მარტინ ლაპოინტი** (*ბოსტონი*)

წლიური ხელფასი 5 500 000 დოლარი

18 თამაში, 8 (5+3) ქულა

შეცდნენ გუნდის მესვეურები, ამ რიგით მოთამაშეში ამდენი ფული რომ ჩადეს. ხელფასების ესკალაციაც ამან გამოიწვია. ლაპოინტი ჩხუბს გადაჰყვა და თავისი ძირითადი მოვალეობა, გოლების გატანა დაავიწყდა. გადაბრალება კი არ ეშლება, გაიძახის, პარტნიორები სათანადო პასებს ვერ მაწვდიანო.

**4. ბობი ჰოლიკი** (*რეინჯერსი*)

წლიური ხელფასი 8 850 000 დოლარი

22 თამაში 12 (6+6) ქულა

ლაპოინტის წამოწყების გამგრძელებელია — „ნიუ ჯერსიში“ მეტოქეთა ლიდერების უგულებელმყოფელის რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ უნიათო „რეინჯერსში“ ესეც გადაავიწყდა. გაუგებარია, ამგვარი ამპლუის მოთამაშეში ამდენ ფულს რატომ ხარჯავენ?

**5. კერტის ჯოზეფი** (*დეტროიტი*)

წლიური ხელფასი 8 000 000 დოლარი

5 თამაში, 12 გაშვებული შაიბა

გაგიგონიათ, სრულიად ჯანმრთელი და ასე ძვირადღირებული მეკარე თა-



მარტინ ლაპოინტი



კერტის ჯოზეფი

დარიგში იჯდეს? თუმც ეს უფრო მისი უბედურებაა, ვიდრე დანაშაული. ხომ გახსოვთ, დომინიკ ჰაშეკის დაბრუნების შემდეგ დაკარგა „კუჯომ“ ძირითადში ადგილი, „დეტროიტის“ მესვეურებმა კი ვერა და ვერ გაცვალეს.

**6. ოუენ ნოლანი** (*ტორონტო*)

წლიური ხელფასი 6 500 000 დოლარი

23 თამაში, 14 (6+8) ქულა

ოდესღაც „სან ხოსეს“ ლიდერი და სულისჩამდგმელი „ტორონტოში“ გადასვლის შემდეგ თავის თავს აღარ ჰგავს.

**7. ჯერომ იგინლა** (*კალგარი*)

წლიური ხელფასი 7 500 000 დოლარი

20 თამაში, 15 (4+11) ქულა

მუქთამჭამელის ტიპიური მაგალითი. ერთი ბრწყინვალე სეზონის შემდეგ სოლიდური კონტრაქტი გააფორმა და თავი აღარც შეუწუხებია. სხვებისგან განსხვავებით, იმასაც ვერ იტყვის, ახალ გუნდში გადავედი და საქმეები ამერიაო.

**სამველ ღარიბიანი**

## რეგულარული ჩემპიონატი

27 ნოემბერი

**კალგარი 5:6 კოლორადო**

*2:2 1:2 2:1 0:1*

0:1 ფუტი (2), 1:1 დონოვანი (6), 2:1 საპრიკინი (10), 2:2 ჰეიდუკი (13), 3:2 ლეოპოლდი (28), 3:3 საკიკი (34), 3:4 სელიანე (38), 4:4 საპრიკინი (42), 4:5 ბრიგლი (46), 5:5 ფერენსი (52), 5:6 მორისი (63)

**ფინიქსი 6:4 ლოს ანჯელესი**

*2:1 2:2 2:1*

1:0 ნადი (10), 2:0 რად. კოევიჩი (12), 2:1 მილერი (15), 2:2 კამალერი (22), 2:3 სიმი (22), 3:3 ნადი (32), 4:3 დოუნი (37), 5:3 ნადი (41), 5:4 ბელანჟე (57), 6:4 ნეში (60)

**ოტავა 2:3 ვანკუვერი**

*0:1 2:1 0:0 0:1*

0:1 კინი (17), 0:2 დ. სედინი (36), 1:2 შეფერი (39), 2:2 სპეცა (40), 2:3 ნესლუნდი (65)

**ატლანტა 1:3 ტორონტო**

*0:2 0:0 1:1*

0:1 ნოლანი (13), 0:2 ტაკერი (15), 1:2 კოვალჩუკი (59), 1:3 ნოლანი (59)



# კულჰარდს მაკი ჭკუაზე მოჰყავს



ლუჩანო ბურტის „ფერარი“ სატესტოდ აღარ გამოდგება

**ესპანეთის** ავტოდრომებზე დასრულდა მეფორმულეთა პირველი სამდღიანი სატესტო სერია.

ვალენსიაში დასკვნით დღეს ყველაზე სწრაფი იყო „მაკლარენ-მერსედესის“ ახალთახალი, მოდელი „MP4-19“, რომლის საჭესაც დევიდ კულჰარდი უჯდა. შოტლანდიელმა 51-ჯერ შემოუქროლა სამკილომეტრიან წრეს და საუკეთესო ცდისას უილიამსელ ხუან-პაბლო მონტოიას ორი დღის წინანდელი ტრასის რეკორდი 0,06 წამით გააუმჯობესა.

მანამდე უხეირო შედეგების შემდეგ ასეთმა წარმატებამ მაკელებს, ბუნებრივია, სიმხნევე შესძინა. „ცხადია, კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, მანქანა თანდათან ჭკუაზე მოდის და ამართლებს თავის მაღალ პოტენციას, მაგრამ ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რა შედეგს მივიღებთ უშუალოდ რბოლებში. მანამდე სამი თვეა და იმედია, ყველაფერი მოესწრება. საიმედო ისაა, რომ სხვა გუნდებზე ადრე დავიწყეთ 2004 წლის მოდელის გამოცდა“ — განაცხადა კულჰარდმა.

მონტოია ამჯერად მეორე დროს დასჯერდა, მას მიჰყვნენ იარნო ტრული (რენო), რალფ შუმახერი და მარკ უებე (ორივე უილიამსი)...

ბარსელონაში კი მესამე დღესაც „ფერარის“ ტესტ-პილოტ ლუკა ბადოერის ბედაურმა აჯობა ყველას, თუმც დასაწყისში ნაჩვენებ თავისივე შედეგის გაუმჯობესება ვერ შეძლო. „სკუდერიას“ ლუკასთან ერთად ფელიპე მასა და ლუჩანო ბურტი წარმოადგენდნენ. ეს უკანასკნელი ტესტირების დასასრულს ხიფათს გადაეყარა — ნაწვიმარ ტრასაზე ბოლიდი მოუსრიალდა და პიტლაინისა და ტრასის გამყოფ ღობეს ეძგერა. „ფერარი F2003GA“ ჯართად იქცა, მრბოლს კი საბედნიეროდ, არაფერი დაშავებია.

ბადოერს 0,2 წამით ჩამორჩა ბარელი ჯენსონ ბატონი, ამას კი ამდენითვე „ზაუბერის“ ახალწვეული ჯანკარლო ფიზიკელა.

გუნდები ვარჯიშს სამშაბათს განაახლებენ.

**გია ახალაძე**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** სიამაზ მიგრიაული
**რედაქტორის მოადგილე** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი



**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
**საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
**ელექტრონული ფოსტა** sarbieli@gol.ge
**ელექტრონული ვერსია** http://www.sarbieli.com.ge